საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 11 ივლისი, 2015 წელი.

№128 (7773)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჯდვეტი სიფცვაა, ფცეტილებით და ჭიანებით ბეტონის გაფანა ყველა ეკლესიაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ამერიკაში დროებით ხართ, თქვენი სამშობლო საქართველოა

ასე მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქოში სტუმრად მყოფ ქართველ ემიგრანტ ბავშვებს, რომლებიც ამერიკიდან ჩამოვიდნენ.

საპატრიარქოში მიღებაზე ქართული კულტურის ცენტრ „ფესვების“ 47 აღსაზრდელი იმყოფებოდა. პატარებმა პატრიარქთან სტუმრობისას სიმღერები ქართულად შეასრულეს, იცეკვეს, დასაწყისში მათ ანა კალანდაძის ლექსზე შექმნილი სიმღერა „საქართველოო, ლამაზო“ იმღერეს.

„თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი სამშობლო საქართველოა. მე ძალიან გამეხარდა, რომ თქვენ ამ სიმღერით დაიწყეთ — „საქართველოო ლამაზო“. „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“, თქვენ ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ გამოადგეთ სამშობლოს. თქვენ გახსოვთ კენედიმ რა თქვა, „ჩვენ ვფიქრობთ იმის შესახებ, სამშობლომ რა უნდა გაგვიკეთოს ჩვენ, ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, ჩვენ რა უნდა გავუკეთოთ სამშობლოს“. აი, თქვენ უნდა ყველაფერი გააკეთოთ იმისთვის, რომ გამოადგეთ სამშობლოს. მე არაერთხელ ვყოფილვარ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეს დიდი ქვეყანაა, მდიდარი ქვეყანაა, თავისუფალი ქვეყანაა. ჩვენ ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები და უნდა დავრჩეთ მართლმადიდებლებად, ჩვენ გადაგვარჩინა ჩვენმა ეკლესიამ. ეკლესია რომ არ ყოფილიყო, ქართველი ხალხი ვერ გადარჩებოდა“, — აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესმა პატარები დალოცა. პატარებმა სახსოვრად პატრიარქს საჩუქრებიც გადასცეს.

შეხვედრაზე ბავშვებთან ერთად იმყოფებოდნენ ქართული კულტურის ცენტრ „ფესვების“ დამფუძნებელი შორენა ბარბაქაძე, საქართველოს ქალთა ბიზნეს-ასოციაციის პრეზიდენტი ნინო ქოჩიაშვილი და დები ჭოხონელიძეები.

ობამა ღმერთს დაუპირისპირდა, თამარ კორძაია — პატრიარქს

3

კეზერას ბიზნესის დანაშაულებრივი ნაკვალევი

4

გაიხსნა სპორტული კომპლექსი „ახალი თბილისი“

ეს პრესტიჟია საქართველოსი!

გუშინ დიღმის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსი „ახალი თბილისი“ საზეიმოდ გაიხსნა. ღონისძიებაზე პირველად სიტყვით ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ახვლედიანი გამოვიდა და კომპლექსის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა.

ალექსანდრე ახვლედიანი (ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე): **„10 ივლისი ქართული სპორტისთვის ისტორიული დღეა, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქართულ სპორტს არ ღირსებია ასეთი აღმშენებლობითი პროცესი და ეს დღე საზეიმოა თითოეული სპორტსმენისა და ვეტერანისთვის. აგრეთვე, ისტორიული დღეა თბილისისთვის, რადგან გაიხსნა ახალი რაიონი, რომელსაც „ახალი თბილისი“ ჰქვია და დარწმუნებული ვარ, ეს ადგილი იქნება ერთ-ერთი პრესტიჟული რაიონი გამომდინარე მისი მდებარეობიდან და იმ ფაქტორითაც, რომ იგი ითვლება ერთ-ერთ ეკოლოგიურად სუფთა ტერიტორიად.“**

ახვლედიანის შემდეგ საზოგადოებას პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი): **„დღეს ჩვენ ოფიციალურად გავხსენით „ახალი თბილისი“. 16 დღეში ჩვენი ქვეყანა და მისი დედაქალაქი უმასპინძლებს ევროპის მე-13 ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს. რა თქმა უნდა, ეს არის უდიდესი დღესასწაული ყველასთვის, ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნისთვის, ქალაქის წარმოჩენისთვის. თბილისი უმასპინძლებს საქართველოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყანაა და ჩვენ მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები გვყავს, ასეთი წარმომადგენლობითი საერთაშორისო სპორტული ღონისძიება აქამდე არ ჩატარებულა. წელს თბილისი 50-მდე ქვეყნის 4 ათას სპორტსმენს უმასპინძლებს და ოლიმპიადის პერიოდში იქცევა სპორტის ევროპულ დედაქალაქად. მთელი ქალაქის მასშტაბით მთავრდება მზადება ოლიმპიური ფესტივალისთვის. ჩვენ ახლა ვიმყოფებით „ახალი თბილისის“ ტერიტორიაზე, სადაც სპეციალურად თბილისისთვის აშენდა 4 სპორტული ობიექტი. ეს არის ჩვენ ქვეყანაში პირველი** სპორტული კომპლექსი.“

„თბილისი 2015“-სთვის „ახალი თბილისის“ ტერიტორიაზე აშენდა ოლიმპიური სტანდარტების საცურაო აუზი, ტანვარჯიშის არენა, ფრენბურთის ორი დარბაზი და მძლეოსნობის ახალი სტადიონი. სპორტული კომპლექსის გახსნას აგრეთვე ესწრებოდა თბილისის მერი დავით ნარმანია, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი და სხვა ოფიციალური პირები.

კობა კობახიძე

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

როგორც ჩვენში არიან ნაცების მსგავსი პროვოკატორები, ისე ჰყავთ ყველა ქვეყანაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანში საქართველოს დროშის დაწვას გარკვეული ჯგუფის მხრიდან პროვოკაციულ ქმედებად მიიჩნევს.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა „გაბალა“– „დინამოს“ თამაშზე მომხდარ ინციდენტზე კომენტირებისას განაცხადა, აღნიშნული პროვოკაციული ქმედება საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრულ ურთიერთობებზე არ იმოქმედებს.

„პანიკის გარეშე. ასეთი პროვოკაციები სპორტსმენებს ახასიათებთ. როგორც გახსოვთ, შეგზავნილი პროვოკაციული ჯგუფები ჩვენი, ანუ საქართველოს სახელითაც მოქმედებდნენ. ახლა იგივე მოხდა აზერბაიჯანის სახელით. ეს არის ჩვეულებრივი პროვოკაცია და ასეთი პროვოკაციები, რა თქმა უნდა, არანაირად არ იმოქმედებს ჩვენს მეგობრულ ურთიერთობებზე. როგორც ჩვენს ქვეყანას ჰყავს ნაცების მსგავსი პროვოკატორები და ავანტიურისტები, ისე მათაც ჰყავთ – ყველა ქვეყანაში არიან ასეთი ადამიანები. ასე რომ, ჩვენ არ უნდა მივაქციოთ ამას ყურადღება, უნდა ვიფიქროთ მხოლოდ პროგრესსა და განვითარებაზე“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

აზერბაიჯანის ქალაქ გაბალაში, ადგილობრივ „გაბალასა“ და თბილისის „დინამოს“ გუშინდელ მატჩზე არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა.

(თემა იხილეთ ჩვენი გაზეთის მე-10 გვ).

ჩემსა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის რაიმე გაურკვევლობის ჩამოგდება გამორიცხულია!

ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებით, იყო გარკვეული მცდელობები, ინტრიგები, შეიძლება გუნდის შიგნიდანაც კი, თუმცა, მასსა და პრემიერს შორის დაძაბულობას ვერავინ ჩამოაგდებს. ამის შესახებ კალაძემ ჟურნალისტებს იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, აქვს თუ არა საფუძველი გავრცელებულ ხმებს მასსა და პრემიერს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ.

„არანაირი დაპირისპირება არ არსებობს ჩემსა და ირაკლის შორის. ჩვენ, გარდა იმისა, რომ ის პრემიერ-მინისტრია და მე ვიცე-პრემიერი, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და პრინციპულია, ჩვენ ვართ მეგობრები. მე ღიად ვამბობ, რომ იყო ინტრიგები, მცდელობები, შეიძლება გუნდის წარმომადგენლების მხრიდან, შეიძლება გარე პიროვნებებისგან, მაგრამ ვერავინ ვერ მოახერხებს იმას, რომ ჩემსა და ირაკლის შორის, პრემიერსა და ვიცე-პრემიერს შორის ჩამოაგდოს რაიმე გაურკვევლობა, ან დაძაბული ურთიერთობა. ჩვენ ვართ ერთი გუნდის წევრები. ვემსახურებით ჩვენს ქვეყანას და ეს მომავალშიც გაგრძელდება“, – განაცხადა კალაძემ.

◎ წერილი რედაქციას

მადლობა გამგებელს გულისხმიერებისა და ყურადღებისთვის

პატივცემულო რედაქციავ, ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით პირადად ჩემი და ანტონ კათალიკოსის ქუჩის 28 ნომერში მცხოვრებთა სახელით გულწრფელი მადლობა მოვახსენო **კრწანისის რაიონის გამგებელს, ამ ერთობ გულისხმიერ, ყურადღებიან და საქმიან ახალგაზრდა კაცს, გიორგი კოპალეიშვილს** ჩემს თხოვნაზე ოპერატიული და ქმედითი გამოხმაურებისთვის.

საქმე ის არის, რომ აღნიშნულ მისამართზე მდებარე სახლის ჩამონგრეული კედელი, რომელსაც ჩემი ავტოფარეხი ემიჯნებოდა, დანგრევის სერიოზული საფრთხით ემუქრებოდა მას და, რომ არა თქვენი განკარგულებით ჩატარებული სამუშაოები, ჩემი ავტოფარეხი დაინგრეოდა კიდეც.

კიდევ ერთხელ გიხდით დიდ მადლობას გულისხმიერებისთვის. უმრავლოს თქვენნაირი შვილები ჩვენს სამშობლოს! გფარავდეთ უფალი, იხარეთ, იმრავლეთ და იბედნიერეთ!

P. S. **მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ ანტონ კათალიკოსის №28-ში მცხოვრები მოქალაქეები ასევე გამოხატავენ თავიანთ მადლიერებას.**

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით
ია კაკრიაშვილი
10.07.2015 წ.

ნატოში გაწევრიანებაზე საუბარი რეალისტური არ არის და საქართველოს მიზნებში არ შედის

საქართველო დასავლური ტიპის დემოკრატიული ქვეყანა უნდა იყოს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა რომელიმე ორგანიზაციის წევრობა, – ეს კომენტარი „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში „ენტევეს-თან“ ინტერვიუს დროს გააკეთა.

„ჩემი აზრით, რაც ახლა ხდება საქართველოში, რომ სახელმწიფოს მთავარ მიზანს ნატო-ში ან ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს – არის ფუნდამენტურად არასწორი. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ნატო-ში არავინ გველოდება, და არავინ მიგვიღებს. ნატო-ში გაწევრიანებაზე საუბარი არ არის რეალისტური და არ შედის საქართველოს ინტერესებში“, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, იგი მოსკოვში შეხვდა პოლიტიკოსებს, რომლებიც საქართველოსთან დიალოგისთვის მზად არიან. თუმცა, საქართველოს მთავრობა კვლავ აშშ-ზეა დამოკიდებული.

„თუ ჩვენი წარმომადგენლები მოისურვებენ გამოთქვან ისეთი მზადყოფნა, როგორიც მე დღეს დავინახე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, ამას მე, მხოლოდ სიამოვნებით შევუწყობ ხელს“, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

„ენტევეს-თან“ ინტერვიუში ნინო ბურჯანაძე ასევე ამბობს, რომ ქართველი ხალხის განწყობა იცვლება და თანდათან უფრო მეტი ქართველი აღარ მიიჩნევს რუსეთს მტრად.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი უკრაინაში არსებულ ვითარებაზე და საკაშვილზეც საუბრობს. „ვწუხვარ უკრაინისა და უკრაინელი ხალხის გამო, ვინაიდან ვიცი საკაშვილის და მისი რეფორმების ნამდვილი ფასი. მეორე მხრივ, მე, ისევე როგორც ბევრი საქართველოში, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ უკრაინის მთავრობისგან, რომელმაც ამ დანიშვნებით უბრალოდ სილა გააწნა საქართველოს მთავრობას და ქართველ ხალხს. საკაკაშვილი ბრალდებულია საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში. მსგავსი ადამიანების იმ მთავრობაში დანიშვნა, რომელსაც საქართველო მეგობრად მიიჩნევს, შეურაცხყოფა და აღმაშფოთებელია“, – ამბობს ბურჯანაძე რუსულ მედიასთან საუბრისას.

ბრძოლაც არ იცით, თქვე მახვილდაჭანგებულებო!

ბონდო მძინარაშვილი: რა გეშველებათ, ბოკერიას გოგოებო? არაფერი თქვენ აღარ გეშველებათ!

ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მინისტრებისა და მათი მეუღლეების მიერ გახარჯულ საბიუჯეტო თანხებს აფასებს და ფოტოს აქვეყნებს.

როგორც ირკვევა, **დავით კეზერაშვილმა,** 2008 წლის აგვისტოს ომიდან ერთ თვეში, დაბადების დღის აღსანიშნავად 17 000 დახარჯა.

2008 წლის 21 ნოემბერს, **ზურაბ ადეიშვილის** მეუღლის დაბადების დღის აღსანიშნავად 8500 დაიხარჯა, ხოლო 2011 წელს, ვანო მერაბიშვილის მეუღლის, **თაკო სალაყაიას** 30 წლის იუბილის აღსანიშნავად 19 600 ლარი გამოიყო...

„სააკაშვილის ყოფილი მრჩევლის – **კინწურაშვილის** არასამთავრობომ მოიკვლია და ბოკერიას მეუღლე **ჩერგოლეიშვილი** აღშფოთებულია, რომ მედიაკავშირ „ობიექტივს“ საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან 2013-2014 წლებში 52 167,84 ლარი მიუღია. რასაკვირველია, ორივემ იცის, რომ ეს არის სარეკლამო მომსახურების თანხა, რომელიც „ობიექტივმა“ რეკლამების გაშვების სანაცვლოდ მიიღო, მაგრამ მაინც აკივლდნენ...

იეფია, გოგო, ეს, ძიენ იეფი“ – წელიწადში 26 083,92 ლარი, ანუ თვეში 2 173,66 ლარი „ძიენ იეფია, შე ქალო!“ რაც ჩვენ „ღაწვებს ვიხოკავთ“ მაგენის გამო, მეტს არ ვიმსახურებთ?

„რუსთავი 2“-ს, „იმედს“ და „მაესტროს“ რომ აფინანსებს ხელისუფლება იმავე გზით, ანუ რეკლამების საფასურით, ეს სათვალავში ჩასაგდები არ არის?

თუმცა, იქ ხომ მილიონებზეა ლაპარაკი და ეს ძღინკიანი სარეკლამო ლარები რა მოსატანია?

ახლა იმ თანხებსაც გადახედეთ, დაბადების დღეებზე რომ თქვლეფდით და „შედლუხებს“ მართავდით, რაში ფლანგავდით სახელმწიფოს ფულს?

ამ პრემიებსა და ხელფასებსაც გადახედეთ, რისთვის იწერდით ათასობით ლარს – ყარსის ციხე აიღეთ თუ უსტაბაშისა?

მაგრამ თქვენ გული იმაზე გისკდებათ, საერთოდ არანაირ რეკლამას რომ არ გვაძლევდა მანიაკი სააკაშვილის პათოლოგი ხელისუფლება, აი, სწორედ იმ ღატაკმა „ობიექტივმა“ გამოგგლიჯათ ძალაუფლება და ახლაც ეს ღარიბი ობიექტივი მოგიღებთ ბოლოს!

მუქარა არ არის, ეს არის თქვენთვის მწარე რეალობა, რომელსაც მალე გაუსწორებთ თვალს!

რა გეშველებათ, ბოკერიას გოგოებო? არაფერი თქვენ აღარ გეშველებათ!

ის ქონის გუდაც მოგიკვდათ და მრჩეველიც აღარ გყავთ...“ – წერს მძინარაშვილი.

ობამა ღმერთს დაუპირისპირდა, თამარ კორძაია – პატრიარქს

გაცუცურაკეგული ამომრჩეველი და აღფკინეგული თეა თუთბერიძე

სანამ აშშ-ის უზენაესი სასამართლო ლგბტ ქორწინებას დააკანონებდა, საქართველოში რამდენიმე თვით ადრე მიმდინარეობდა დავა პარლამენტსა და საპატრიარქოს შორის ანტიდისკრიმინაციული კანონის შესახებ. სამღვდელოება მკაცრად მოითხოვდა, ამოეღოთ ტერმინები: „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“, რაზეც კანონმდებლები არ დათანხმდნენ. განსაკუთრებით კი თამარ კორძაია: **„უარს ვამბობთ საპატრიარქოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. პარლამენტი მყარად დგას თავის პოზიციაზე“, – აცხადებდა ის. „ღვთის მცნებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად“,** – აღნიშნავდნენ სამღვდელოების წარმომადგენლები. მაგრამ ყურად არავინ იღო... გავიდა დრო... და ამერიკის პრეზიდენტმა მორწმუნე საზოგადოებას ცივი წყალი გადაასხა. ნეტა, რა პირით შეხვდება ბარაკ ობამა შობას? – ამაზე, ალბათ, იმქვეყნად მოეკითხება, ჩვენ კი ამქვეყნად დარჩენილებს მივხედოთ. მაგალითად, ყველაზე ცნობილი ლგბტ უფლებადამცველს, პარლამენტარ **თამარ კორძაიას.** მან ღვთის კანონების გმობა წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა: **„აქ საკითხი დგას, რამდენად ვაღიარებთ ამ ადამიანებს თანასწორებად და რამდენად მიგვაჩნია, რომ იმათ ისევე შეუძლიათ ცხოვრება, როგორც ჩვენ“,** – ასე გამოეხმაურა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას.

ძალადობა, დისკრიმინაცია ზოგადად მიუღებელია, მაგრამ ზედმეტი აჟიტირებაც მავნებლობაა. რას ვაკანონებთ? – ქალისა და ქალის ქორწინებას? კაცისა და კაცის ქორწინებას? და აქამდე ვინ უკრძალავდა მათ ერთად თანაცხოვრებას?! ვის შეუვარდნენ საწოლ ოთახში და ვინ ათრიეს თმებით? ან რას ნიშნავს, პარლამენტარის განცხადება, რომ **„ამ პროცესმა ქართველების პროდასავლურ განწყობაზე არ უნდა იმოქმედოს“.**

განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები არსებობდნენ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე... მათ შორის რუსეთში, სადაც მსგავსი ურთიერთობები უცხო ხილი არ არის (ამ შემთხვევაში ქართველების დაყოფა პრორუსებად და პროევროპელებად ნამდვილად უადგილოა. ვის ვის და, ქართველებს არ ესწავლებათ რუსი „ქალბატონებისა“ და „ბატონების“ უსაზღვრო სექსუალური ფანტაზიები). რა თქმა უნდა, ამ კუთხით ყბადაღებულ დასავლეთს არც არასდროს ჩამორჩებოდა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება ამის სახელმწიფო დონეზე აღიარებაზე არ ფიქრობს. სწორედაც, რომ მართლმადიდებლური ცნობიერებიდან გამომდინარე.

* * *

სანამ კორძაია თეა წულუკიანს ჩაანაცვლებდა, როგორც კანდიდატს, მას სწორედ ამ ნიშნით იწუნებდა საზოგადოება. **„კანდიდატი თამარ კორძაია პარლამენტში მოსვლის შემთხვევაში ერთსქესიანთა ქორწინებას დააკანონებს“,** – ხშირად ისმოდა ეს ფრაზა ოპონენტებისგან, მაგრამ მაშინ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა.

– „ქალბატონო თამარ, რამდენად შეესაბამება რეალობას გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თქვენ ერთსქესიანთა ქორწინებას უჭერთ მხარს?“ – ეკითხება ჟურნალისტი.

კორძაიას პასუხი ასეთია: – ოპონენტებმა ჩემ წინააღმდეგ ბინძური კამპანია წამოიწყეს... არ ვიცი, რატომ ჰგონიათ, რომ მოსახლეობის მანიპულირებას შეძლებენ. რეალურად მე ყოველთვის ვიქნები კონსტიტუციის, ადამიანის უფლებების დამცველი და ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი.

– ანუ ერთსქესიანთა ქორწინებასაც დაუჭერთ მხარს?

– ამაზე საუბრის დრო არ არის. მე ვხვდები, საითაც მიგყავთ საუბარი და გაინტერესებთ, ვარ თუ არა მართლმადიდებელი ქრისტიანი. გიპასუხებთ, რომ დიახ, მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ. ტრადიციულ ქართულ ოჯახში გავიზარდე, მყავს მეუღლე და მასთან ერთად ვზრდი ოთხ შვილს!“

„ბინძური კამპანია“ – ნიშნავს რაღაც ცუდს, მიუღებელს, არადა ერთსქესიანთა ქორწინება მიუღებელი სულაც არ ყოფილა ჩვენი პარლამენტარისთვის. „მართლმადიდებლობის აღიარებით“ კარგად იმუშავა საზოგადოებაზე და ამომრჩეველიც დააბნია. მანიპულაციამ გაამართლა. ახლა კი რაც არ უნდა აქციები მოუწყონ ნაძალადეველებმა თავიანთ რჩეულს, ის საპარლამენტო ვადის ამოწურვამდე მაინც დეპუტატად დარჩება!!! არადა, იმავე ინტერვიუში ამბობს: „თავის სამართლებელი არაფერი მჭირს! ჩემთვის ახლა მთავარი ისაა, ამომრჩეველი არ მოატყუონ. ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია თავის სამართლებელი“.

ვინ მოატყუა ამომრჩეველი, ეს კიდევ საკითხავია. მე მგონი, უფლებადამცველი ცდება, როცა ერთსქესიანთა ქორწინებას იმთავითვე ძალადობას მიაბამს ხოლმე. მაგალითად, ერთგან ჟურნალისტი ეკითხება: **„– რა აზრის ხართ ერთსქესიანთა ურთიერთობაზე?**

– გიპასუხებთ... ცხოვრებაში ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვარ... ეს ჩემი პრინციპული პოზიციაა და ყოველთვის, ყველგან, ნებისმიერი ადამიანის მიმართ ძალადობის წინააღმდეგი ვიქნები.

– და მაინც, კონკრეტულად, ერთსქესიანთა ურთიერთობის შესახებ რა აზრის ხართ? როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ საკითხის მიმართ?

– მე მგონი, გიპასუხეთ... სულით და ხორცამდე, ბოლომდე ვიქნები არა მხოლოდ ერთსქესიანთა, ნებისმეირი ადამიანის მიმართ ძალადობის წინააღმდეგი“.

ჩვენი საზოგადოება იმაზე კი არ ბჭობს, რომ აიკრძალოს ერთსქესიანთა ურთიერთობა, ან მოიკვეთონ და გაირიყონ ეს ადამიანები, არავინ აკანონებს მათ წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას, არამედ ეწინააღმდეგება იმათ მენტალიტეტს და ეწინააღმდეგება იმის დაკანონებას, რაც მორალურ სეგმენტში არ თავსდება... (ეკლესიისთვის განკვეთილი შვილი არ არსებობს, რადგან ჩვენ, ადამიანები, ცოდვილები ვართ). მაგრამ დეპუტატობის კანდიდატმა მაშინ ძალიან კარგად იცოდა, რომ ნაძალადევის ამომრჩეველი ტრადიციულ ღირებულებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მით უმეტეს, დიდ პატივს სცემდა ერის სულიერ ლიდერს ილია II-ს, რომელიც მოგვიანებით არაერთხელ აბუჩად აიგდო უკვე პარლამენტარმა თამარ კორძაიამ: **„ხომ არ ჯობდა, ერთი საპარლამენტო მანდატი გადაგვეცა პატრიარქისთვის?!“; „როდესაც პატრიარქი მოუწოდებს ხელისუფლებას დაფიქრებისკენ და იმისკენ, რომ არ მივიღოთ ეს თვითმმართველობის კოდექსი ნაჩქარევად, ალბათ, ჯობდა, რომ თვითონაც გაიაზროს იმ მკაფიო განცხადებების რისკი, რასაც აკეთებს ქადაგების შემდეგ“; „ისინი მხოლოდ გუშინ არ გაღიზიანებულან... ისინი ძალიან დიდი ხანია, ებრძვიან დისკრიმინაციის აღმოფხვრის პროცესს საქართველოში... შესაბამისად, უარს ვამბობთ, საპატრიარქოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შეიძლება ითქვას, რომ სასულიერო პირებისგან ადგილი ჰქონდა პარლამენტზე ძალადობას“...**

ასეთი გამონათქვამები უხვადაა კორძაიას ლექსიკონში. ბუნებრივია, ამომრჩეველს ეს არ ხიბლავს, სამაგიეროდ, აღფრთოვანდა თეა თუთბერიძე, რომელმაც საჯაროდ შეუქო გამონათქვამები. „ყოჩაღ, თამარ კორძაია! ნამდვილად ვერ დავემსგავსები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, არ ვარ დაუნახავი და მინდა, ვაღიარო, რომ მსგავს განცხადებას წინა ხელისუფლების დროს საკანონმდებლო ორგანოში, უმრავლესობის ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ გაბედავდა პარლამენტში, რომ გაეკეთებინა. კიდევ ერთხელ ყოჩაღ!“ (სტილი დაცულია).

იურისტი, ჟურნალისტი, უცხოეთში განათლებამიღებული უფლებადამცველი, გულირიფშელი, ორი ვაჟისა და ორი გერი ქალიშვილის დედა – თამარ კორძაია, რა თქმა უნდა, მიუღებელი როდი იყო გულუბრყვილო ამომრჩევლისთვის. ვარკეთილში 93 კვ.მ ბინას ფლობს, მეუღლეს – ზაზა მენაბდეს კი 140 კვ.მ. ბინა აქვს ბათუმში, ხოლო ოზურგეთში – 700 კვ.მ. მიწის ფართობი. არც საბანკო ანგარიშბზე აქვს კოლოსალური თანხები. მოსახლეობასაც ხომ ასე არწმუნებდა, რასაც თეა წულუკიანი გპირდებოდათ, ძალაშიაო. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. წულუკიანმა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, გუნდურობის პრინციპს არ უღალატა და ბოლომდე კოალიციის ერთგული დარჩა. თამარ კორძაიამ „არაფერი განსაკუთრებულის“ გამო გუნდი მიატოვა. **„ვფიქრობ, ლიბერალური ღირებულებების პარტიაში ბუნებრივად წავედი“,** – ამბობდა ის, როცა „ოცნებიდან“ რესპუბლიკელებში გადაბარგდა. ასე რომ არ მომხდარიყო, მაინც მოუწევდა გუნდთან დაპირისპირება, ვინაიდან, პრემიერ-მინისტრი ირწმუნება, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება საქართველოში არ მოხდება, ხოლო დეპუტატი – ამის კატეგორიული წინააღმდეგია. **„ამიტომაც არის, რომ ვიღაცები წინ არიან ადამიანების უფლებების დაცვის კუთხით, ვიღაცები კი უკან ვართ“,** – გულისტკივილით აღნიშნავს დეპუტატი. წინა ვართ თუ უკან, ამას საზოგადოება გასცემს პასუხს, მანამდე კი კორძაიას ამომრჩეველი აქციებით ემუქრება. მით უმეტეს, რომ არაფერი ისეთი არ გაუკეთებია, რაც ნაძალადეველებს წაადგებოდა და გულს მოუოხებდა. არჩევნებამდე კი დეპუტატი მოსახლეობას ომახიანად ხვდებოდა: „მოგესალმებით, თემქელებო! დღეს ისე შევივსე ამ ბავშვებით, რომ უბედნიერესი ვარ. არ შეიძლება, ბედნიერი არ ვიყო ასეთი დახვედრისთვის. მადლობას გიხდით იმიტომ, რომ თქვენ ამ ბავშვების მომავალი პირველ ოქტომბერს შექმენით“.

ამ ბავშვების მომავალი ტრადიციული ფასეულობების მიფურთხება არ არის, ძალბატონო თამარ! თქვენ, როგორც უფლებადამცველს არ გესწავლებათ, რომ ერის დიდი საუნჯე: მამული, ენა და სარწმუნოებაა...

თეა მოსია

> ჩვენი საზოგადოება იმაზე კი არ ბჭობს, რომ აიკრძალოს ერთსქესიანთა ურთიერთობა, ან მოიკვეთონ და გაირიყონ ეს ადამიანები, არავინ აკანონებს მათ წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას, არამედ ეწინააღმდეგება იმათ მენტალიტეტს და ეწინააღმდეგება იმის დაკანონებას, რაც მორალურ სეგმენტში არ თავსდება...
>
> * * *
>
> დეპუტატობის კანდიდატმა მაშინ ძალიან კარგად იცოდა, რომ ნაძალადევის ამომრჩეველი ტრადიციულ ღირებულებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მით უმეტეს, დიდ პატივს სცემდა ერის სულიერ ლიდერს ილია II-ს, რომელიც მოგვიანებით არაერთხელ აბუჩად აიგდო უკვე პარლამენტარმა თამარ კორძაიამ.

◎ კაკალ გულში

ნეჩეიოვანი ოჩაზები

● **რა საოცარია ზოგიერთმა ხმა რო ამოიღო 2012 წლის პირველი ოქტომბრის მერე და ვიძიწელი, მედიის დაფინანსებით დაინტერესდა, ალიო, არის კონტაქტი? კი, ხომ? ხოდა, ყველამ თავის „მამიდა დაფინანსებას“მიხედოს ცოტა გადახედეთ რა 2003-2012 წლებში რომელი მედია რა პრივილეგიებით სარგებლობდა და ტერმინი „საბიუჯეტო სახსრები სიძულვილის ენისა და ანტიდასავლური განწყობების მედიაში“ მერე ამოატივტივეთ. ზოგზოგიერთები ახლა რითი ფინანსდებით? უნდა აგვეწონეთ მიშას დროს და მერე (P.S. ბლინ) „საქართველოს რესპუბლიკის“ ბიუჯეტი რო სალაპარაკო გახდება.**

● **ირაკლი სესიაშვილს გია ბარამიძის ტრაბახზე, ჩვენ ომის დროსაც შევინარჩუნეთ ლარის კურსიო, ჩვენო ბიუჯეტს ვზრდიდითო, არ შეუძლია რომ ჰკითხოს – ის 4,5 მილიარდი (ვიმეორებ 4,5 მილიარდი) დოლარი, რომელიც ომის მერე მოგვცეს, სად წავიდაო?**

არ შეუძლია, რომ ჰკითხოს, ბიუჯეტს რომ ავსებდით, შემთხვევით პროკურატურაში შეტანილი ის 22 000 საქმის შედეგი ხომ არ არისო?

არ შეუძლია, რომ ჰკითხოს, ომის მერე სამშენებლო ბიზნესს რომ დედა ეტირა (ამას კორექტულად ვწერ) და უამრავი ადამიანი არა მარტო უსამსახურიოდ, არამედ უსახლკაროდ რომ დარჩა, იმის შედეგი ხომ არ იყო ის მოჩვენებითი კეთილდღეობაო?

მაგრამ ეს ყველაფერი ან არ იცის, ან იცის და ვერ ამბობს, ან... იმის მაგივრად, რომ გიორგი ბარამიძეს ეკამათოს, გიორგი გაბუნიას (ჯულიეტოვნას) ეკამათება, ნაციონალური მოძრაობის ტელევიზია ხართო!

კარგით რა ხალხო, კარგით რა!!!

● **არიქა, ჩვენც გვინდა ოჯახი და ბავშვები, მერე რა რო ცისფრები ვართო... რა ოჯახი „კაცო“?! ბავშვი რო დედას (ოღონდ კაცს) მიადგება და ეტყვის ,მშიაო, ის რო მოუბრუნდება და უპასუხებს, ამ ჩემ იმასო, ოჯახია ეგა?**

● **რა ხდება საბერძნეთსა შინა, დახიეს ნისიების რვეული?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ პარლამენტი

გაცდენა! – წარმოადგენა ცნობა!

პარლამენტის წევრს, რომელიც სხდომას ავადმყოფობის მიზეზით გააცდენს, ე.წ. ბიულეტენის წარმოდგენა მოუწევს. სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენის რეგლამენტირება მხოლოდ „ოჯახური მდგომარეობის“ მიზეზით გაცდენას არ შეეხება.

პარლამენტი რეგლამენტში დაგეგმილ ცვლილებებს იხილავს. როგორც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი კახიანმა სხდომაზე განმარტა, რეგლამენტს ემატება პუნქტი, რომლის მიხედვით, პარლამენტის წევრის მიერ პარლამენტის სხდომების ავადმყოფობის მიზეზით გაცდენა, საავადმყოფო ფურცლით უნდა დადასტურდეს. საავადმყოფო ფურცლი პარლამენტის მანდატურის სამსახურს მისი დახურვიდან ერთი კვირის ვადაში უნდა წარედგინოს.

გარდა ამისა, პარლამენტის წევრის სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის ფაქტი უფლებამოსილი პირის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უნდა დასტურდებოდეს, რომელიც მანდატურის სამსახურს გამოცემისთანავე უნდა უნდა გადაეცეს. დღეს ამ ყველაფრის სავალდებულოება რეგლამენტით გათვალისწინებული არ არის.

რაც შეეხება „ოჯახურ მდგომარეობას“, რეგლამენტში დაგეგმილი ცვლილებებით, სხდომების ოჯახური მდგომარეობის გამო გაცდენა დეპუტატს საპატიო მიზეზად აღარ ჩაეთვლება. კერძოდ, პარლამენტის რეგლამენტის 133-ე მუხლის მე-10 პუნქტიდან, რომელიც პარლამენტის პლენარული და კომიტეტის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზების ჩამონათვალს ადგენს, „ოჯახური მდგომარეობის“ გამო გაცდენის ამოღება ხდება. პარლამენტის დღეს მოქმედი რეგლამენტით, პარლამენტის წევრის მიერ პლენარული და კომიტეტის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა, ოჯახური მდგომარეობა, სამსახურებრივი მივლინება.

ინტერპრესი

◎ მაჩანჩალა სამართალი

კეზერას ბიზნესის დანაშაულებრივი ნაკვალევი

თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის მიმართ ჩადენილ უკანონო ქმედებათა გამო, სამართლებრივი დევნა კვლავ გრძელდება.

ორი დღის წინათ, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას დაუსწრებლად თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ამის საფუძველი სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის კიდევ ერთი ფაქტის გამოვლენა გახდა.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ: 2010 წლის აგვისტოში, საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა, რომელიც სამეწარმეო საქმიანობაში ხელისუფლების უზენაესი ხელმძღვანელობის მფარველობით სარგებლობდა, საკუთარი ბიზნესის გაფართოება და ფოთის ნავსადგურის ნავთობპროდუქტებისა და მშრალი ტვირთების დამუშავების სარფიანი საქმის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა.

იმ ხანად აღნიშნულ საქმიანობას, 2002 წლიდან მოყოლებული, მამა-შვილი თამაზ და ზურაბ ნიჟარაძეების კუთვნილი კომპანია „ბიმედია ინვესტმენტს ლტდ“ ეწეოდა, რომელსაც სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურთან“ 10-წლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული ნავთობპროდუქტების სარკინიგზო ვაგონებში გადატვირთვაზე.

ნიჟარაძეებისვე წილობრივი მონაწილეობით შექმნილი „მიშნ ინვესტმენტ ლტდ“ კი, თავისი შვილეული კომპანიების მეშვეობით, ფოთის ნავსადგურში ნავთოპროდუქტების გადამუშავების ექსკლუზიური უფლებით სარგებლობდა.

ამავე დროს, 2010 წლის მდგომარეობით თამაზ ნიჟარაძე შპს „მეტალექსში“ 52,5 პროცენტ წილს ფლობდა. აღნიშნული საზოგადოება კი 2003-08 წლებში ფოთის ნავსადგურში №5 გემთმისადგომს ფლობდა, სადაც მშრალი ტვირთების დამუშავება ხდებოდა.

დ.კეზერაშვილმა ნიჟარაძეების ბიზნესის ხელში ჩაგდება მოისურვა, რა მიზნის განსახორციელებლად, 2010 წლის 14 აგვისტოს, ეგრეთ წოდებულ „პიქსელის“ შენობაში ბიზნესმენ თ.ნიჟარაძეს შეხვდა და ძალადობის გამოყენების მუქარით კატეგორიულად მოსთხოვა მას ზემოაღნიშნულ კომპანიებში ოჯახის კუთვნილი წილების დათმობა.

შემდგომ, 15-17 აგვისტოს, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თბილისში, მარაბდის ქუჩაზე თ.ნიჟარაძის საცხოვრებელ სახლში და მის გარე პერიმეტრზე, უკანონოდ განლაგდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) თანამშრომელთა ჯგუფი, რომლებიც ოჯახის უფროსს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას არ აძლევდნენ და მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდათ იგი, რითაც ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდნენ.

მთელი ამ სამი დღის მანძილზე, დ.კეზერაშვილი, შუამავლის მეშვეობით, თ.ნიჟარაძეს მუქარით აიძულებდა მისი და თავისი ვაჟიშვილის ფოთის ნავსადგურში ბიზნესის წილების დათმობას.

იმის გამო, რომ სოდ-ის ზემოქმედებით და შუამავლის მეშვეობით, დ.კეზერაშვილმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, სექტემბერში იგი კვლავ პირადად შეხვდა თ.ნიჟარაძეს იმავე „პირქსელის“ შენობაში და ისევ „სისხლის ტბების დაყენებით“ დაემუქრა.

ძალადობის შიშით და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად გატეხილმა ნიჟარაძეებმა, მომხდარიდან რამდენიმე დღეში, „ბიმედია ინვესთმენტს ლტდ“ (100 პროცენტი), „მიშნ ინვესთმენტ ლტდ“ (60,18 პროცენტი), მოგვიანებით კი შპს „მეტალექსი“ (52,5 პროცენტი), თავიანთი რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ღირებულების წილები, დ. კეზერაშვილის მიერ კონტროლირებად ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ სამ კომპანიაზე გადააფორმეს.

ამასთან, დანაშაულებრივი კვალის შენიღბვის მიზნით, „მიშნ ინვესთმენტ ლტდ“-ს წილის გასხვისების ხელშეკრულებაში მიუთითეს, თითქოს ამის სანაცვლოდ ნიჟარაძეებმა 6 მილიონი დოლარის ღირებულების უძრავი ქონების ორი ობიექტი მიიღეს, „მეტალექსის“ რაღაც სასაცილო ფასად გაიყიდა, ხოლო „ბიმედია ინვესტმენტ ლტდ“-ს ფასი საიდუმლოდ დარჩა.

სინამდვილეში კი გამოძალული წილების სანაცვლოდ ნიჟარაძეებს არანაირი სარგებელი არ მიუღიათ.

ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი მოქმედებების შედეგად, ნიჟარაძეებს დიდი ოდენობით ქონებრივი ზარალი და მორალური ზიანი მიადგათ.

სისხლის სამართლის საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, — აღნიშნულია საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

თამაზ გორდაძე

◎ მეცნიერება და ბიზნესი

აქვს თუ არა პერსპექტივა მეწარმეობას საქართველოში?

ფრაგმენტული ხედვა ამ საქმეს ვერ უშველის

მიმდინარე კვირა დატვირთული და საქმიანი აღმოჩნდა ეკონომიკისთვის... მთავრობამ აღიარა, რომ ქვეყნის გადარჩენა, სხვა ფაქტორებთან ერთად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას შეუძლია. მაგრამ ამისთვის საჭიროა ფული და მონდომება. პრემიერ-მინისტრმა გულწრფელად იკითხა, რატომ არ ხდება ასანთისა და შუშა-ტარის წარმოება საქართველოშიო?! ასევე არ ხდება ყველაზე საჭირო პროდუქტის — საფუარის წარმოება, არადა ხომ ვიცით, რომ ქართველი კაცი უპურო ვერ ძლებს. ასე თუ გავაგრძელებთ, ეს ჩამონათვალი გაიზრდება და ბევრ ლოგიკურ კითხვამდეც მივალთ. ამ ყველაფერს ერთი მარტივი, მაგრამ მტკივნეული პასუხი აქვს — საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია სამეწარმეო კულტურა.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესზე მთელი წარმოების 54 პროცენტი მოდის, მათ მიერ დასაქმებულია მომუშავეთა 55 პროცენტი, ხოლო იქმნება ახალი სამუშაო ადგილების 66 პროცენტი. რა ხდება საქართველოში? — 2014 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 46 პროცენტი და დასაქმებულების 55 პროცენტი სოფლად ცხოვრობდა. ამავდროულად ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს სოფლის მეურნეობის სექტორში საქმიანობს მოქმედი ბიზნესის 0,7 პროცენტი, რომელიც აწარმოებს მთელი პროდუქციის მხოლოდ 8,4 პროცენტს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს აგრობიზნესის კუთხით დაბალი ეფექტიანობა აქვს. ბიზნესის არათანაბარ განვითარებაზე ისიც მეტყველებს, რომ მსხვილი წარმოებები, რომლებიც დარეგისტრირებული საწარმოების 8 პროცენტს შეადგენენ, პროდუქციის 80 პროცენტზე მეტს აწარმოებენ. ევროკავშირის ქვეყნებში კი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესი ქმნის პროდუქციის 57,9 პროცენტს.

„აწარმოე საქართველოში“ — ხელისუფლების მიერ ერთი წლის წინათ გაპიარებული პროექტის პრეზენტაციაზე გაირკვა, რომ მიდგომამ გაამართლა. 90-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა და რამდენიმე ასეული სამუშაო ადგილი შეიქმნა. „მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარება რეგიონებში“ ასევე ბიზნესის მხარდასაჭერი პროექტია (თითოეულ პროექტზე 5 ათას ლარამდე გრანტი ხელისუფლებამ გასცა)... თუმცა, ეკონომიკურ ფორუმზე, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტის თაოსნობით გაიმართა, ითქვა, რომ ქვეყანას ამ მიმართულებით პერსპექტივა არასოდეს ექნება, თუ კანონმდებლობა არ შეიცვალა. პროფესორი **შალვა მაჭავარიანი** ამბობს, რომ **„საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სამართლებრივი განსაზღვრება საკმაოდ წინააღმდეგობრივია. კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ 2006 წელს გააუქმეს. დღეისათვის მხოლოდ კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ იძლევა მცირე ბიზნესის განმარტებას... მაგრამ ამავე დროს „საქართველოს საგადასახადო კოდექსთან“ წინააღმდეგობაში მოდის“.** მაგალითად, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს კანონის მიხედვით, მცირე საწარმოდ მიიჩნევა, თუ მასში 20-მდე ადამიანი არის დასაქმებული, საგადასახადო კოდექსში კი საერთოდ არ არის განმარტებული. საინვესტიციო სააგენტოს კანონში წლიური ბრუნვა 500 ათასი ლარია მითითებული, მაშინ, როცა საგადასახადო კოდექსით — 100 ათასი ლარია გათვალისწინებული.

ჩვენს დაბალ სამეწარმეო კულტურაზე მეტყველებს ისიც, რომ ძალიან ცოტაა ქვეყანაში სოლიდარული საზოგადოების, კოოპერატივების წილი, სამაგიეროდ 160 ათასამდე შპს და ნახევარ მილიონი ინდმეწარმეა რეგისტრირებული. ამას ერთი ახსნა აქვს, მათი პასუხისმგებლობის წილი ნაკლებია, სამაგიეროდ, ეს უკანასკნელნი სერიოზული ბრენდების ინტერესების საგანს არ წარმოადგენენ და საერთაშორისო კომპანიები მათთან არ თანამშრომლობენ.

და არც თუ უმნიშვნელო სეგმეტია — საბანკო სექტორი, რომელიც აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის გასავითარებლად. მაგრამ ჩვენთან საკრედიტო რესურსი გაცილებით ძვირია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ქართული ბანკები მოგების მაღალ მარჯაზე მუშაობენ. სესხის პროცენტი ძირითადად წლიური 12 პროცენტიდან იწყება და 36 პროცენტამდე ადის. მცირე ბიზნესთან ბანკები, ფაქტობრივად, არ მუშაობენ ან საერთოდაც გაურბიან დამწყები ბიზნესის დაფინანსებას. ეს არის ის რეალობა, რაც მეწარმეობის განვითარებას სავალალოს ხდის. ცოდნის ნაკლებობა რესურსების მართვისას, ახალი ბაზრების მოძიების სირთულე, მენეჯემენტის არასრულყოფილება, საგადასახადო საკითხების გადაუწყვეტლობა, — კიდევ სხვა ბევრი პრობლემაა, რომლის წინაშეც დღეს ქართული ბიზნესი დგას.

და რა არის გამოსავალი? — ინოვაცია და ტექნოლოგიური განვითარება. ევროპაში ის აღიარებულია ბიზნესის ხელშემწყობ სახელმწიფო პოლიტიკად. და ასევე აუცილებელია კვალიფიციური კადრები. კადრების სამჭედლო კი, რა თქმა უნდა, უმაღლესი სასწავლებლებია. ამ დროს პროფესორ-მასწავლებლებიც კი ერთხმად აღიარებენ, რომ სტუდენტები მხოლოდ თეორიული ცოდნით კმაყოფილდებიან და არ ხდება კვლევები, სამეცნიერო მუშაობა, ინოვაციების დაპატენტება და სხვა. არ არსებობს საინოვაციო ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები, საინოვაციო იდეების ბანკი და ა. შ.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ქაშიბაძე ირწმუნება, რომ მთავრობას ამ მიმართულებით სერიოზული გეგმები აქვს. უკვე ჩამოყალიბდა თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია ილიაუნში, ანუ start-up-რისკები შემცირდება. ოქროყანაში წლის ბოლომდე დასრულდება ტექნოლოგიური ბანკის მშენებლობა. იგეგმება რეგიონალური ჰაბის ჩამოყალიბება ინოვაციების კუთხით...

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ სახელმწიფომ 4 მილიონამდე გაზარდა დოქტორანტების დასაფინანსებლად გამოყოფილი გრანტი. თუმცა, ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი **მარინე ჩიტიშვილი** დიდად აღფრთოვანებული არ არის ასეთი მიდგომით: **„სისტემური პრობლემა გვაქვს,** — ამბობს ის, — **დაფინანსება გაიზარდა, მაგრამ არ ვიცით, ამ დახარჯული ფულით რა პროდუქტი მივიღეთ. ჩვენ ორიენტაცია უნდა ავიღოთ საინტერესო კვლევების დაფინანსებაზე. უნივერსიტეტები უნდა იყვნენ ვალდებულები, წარმოადგინონ სრულყოფილი ანგარიში, თუ რაში დაიხარჯა ფული და რას მიიღებს ამით ქვეყანა“.**

როცა საქმე ბიზნესს ეხება, სახელმწიფოც ხვდება, რომ მეცნიერების განვითარების გარეშე, პერსპექტივა არა აქვს. ალბათ, ამიტომაც აიღო გეზი მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ მეცნიერებისკენ. მეტიც, იგეგმება მეცნიერთა ეროვნული რეესტრის შექმნა.

ინგლისმა თურმე 15 წელიწადი მოანდომა იმას, რომ ბიზნესი მეცნიერებას დაყრდნობოდა და ტექნოლოგიების დარგში წარმატებისთვის მიეღწია. სამწუხაროდ, საქართველოს ამდენი ლოდინის უფლება ნამდვილად არა აქვს, რადგან საკმარისზე მეტი დრო სულ ფუჭად დაიკარგა...

თეა მოსია

◎ მოსაზრება

„ბიძინა ივანიშვილმა უნდა იჩქაროს“

იძიდან გამომდინარე, რომ შარშან თებერვალში უკრაინაში დაწყებული მოვლენები სუბრეგიონალურ ფართომასშტაბიან გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა, რაც ნეგატიურად აისახა საქართველოზეც და გამოიწვია მნიშვნელოვანი გართულებები ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებთან მიმართებაში, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ არსებულ ურთულეს სიტუაციაში, ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, ხოლო ამჟამინდელი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი დაინიშნოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად და პირველ ვიცე-პრემიერად!

საქმე ის გახლავთ, რომ დაწყებული გეოპოლიტიკური კრიზისი გრძელდება და როდის დასრულდება ამას ვერავინ პროგნოზირებს! როგორც არ უნდა განვითარდეს საქართველოში საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები, ფაქტია, რომ უახლოესი 3-4 წლის მანძილზე ფორსმაჟორულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში მოგვიწევს ცხოვრება და მოქმედება! მოკლედ, სრული მობილიზება სჭირდება ქართულ სახელმწიფოს. ამიტომ, ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, „მოქალაქე“ ბიძინა ივანიშვილი უნდა დაუბრუნდეს იმ პოსტს, რომელიც ნებაყოფლობით დატოვა წლინახევრის წინათ.

2011 წლის 7 ოქტომბრის შემდეგ, როცა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა ქართულ პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ, რასაც 2012 წლის ოქტომბერში სააკაშვილის ნაცრეჟიმის შეცვლა მოჰყვა, ბევრმა წყალმა ჩაიარა! მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით იგი სამოქალაქო სექტორში გადავიდა, ვფიქრობდი, მან კარგად იცოდა, რა, როგორ და რა დროს უნდა ეკეთებინა, მაგრამ, რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, – ივანიშვილის ნაადრევი და ნაჩქარევი წასვლა პოლიტიკიდან დიდი შეცდომა იყო!.. სანამ ქვეყნის გამთლიანება არ მოხდება, რაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ მისიად მიმაჩნია, მანამ საქართველოს გადარჩენა და განვითარება ვერ მოხერხდება!.. სად გინახავთ, რომ ჩვენსავით მცირე, გაღატაკებული და დანაწევრებული სახელმწიფო ეკონომიკურად ანდა სხვაგვარად აღორძინებულიყოს, თუ არ გამთლიანდა და გაერთიანდა?! ივანიშვილს მცირე დრო (არსებული საერთაშორისო გეოპოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე!) ჯერ კიდევ აქვს, რომ ყოველივე კარგად გაიაზროს!..

ამას წინათ, მასმედიასთან შეხვედრისას ყოფილმა პრემიერმა განაცხადა: „მე მგონია, რომ პოლიტიკაში ჩემი დაბრუნების სიტუაცია არ არის, ხშირად განმიცხადებია და გავიმეორებ დღესაც, უნდა მოხდეს რაღაც ცუდი პოლიტიკური სიტუაცია და თუ რაიმე უბედურება მოხდა, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება, მომიწიოს პოლიტიკაში დაბრუნება. დღეს კი, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ“. – კი მაგრამ, მეტი რა უბედურება უნდა დატრიალდეს, რუსეთი დღე-დღეზე ჩვენი ტერიტორიების ანექსიას მოახდენს და მაინცადამაინც „უნდა გაფორმდეს“ ეს ამბავი, რომ პოლიტიკაში დაბრუნდეს?! რა გამოვიდა? – მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის დასამარცხებლად „მოვიდა პოლიტიკაში“ და ეგ არის მისი „მაქსიმუმი“?! განა, ყოფილი პრემიერისთვის სულერთია, თუ როგორი სახელით შევა საქართველოს ისტორიაში, – მხოლოდ „სააკაშვილის დამმარცხებლის“, თუ „საქართველოს გამმთლიანებლის“?!

ქართველი ხალხის წარმოდგენაში, ამჟამინდელი „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, სწორედ ბიძინა ივანიშვილის „მოყვანილია“ ხელისუფლებაში! საქართველოს ამომრჩევლებმა 2012 წლის და ყველა დანარჩენ არჩევნებში ხმა მისცეს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ იმიტომ, რომ მისი დამფუძნებელი იყო და არის ბიძინა ივანიშვილი! მიუხედავად იმისა, რომ წლინახევრის წინათ ივანიშვილმა დატოვა ყველა პოლიტიკური თანამდებობა, დღესაც, ქართველი ხალხის მხარდაჭერა მის მიერ დატოვებული ხელისუფლებისადმი განპირობებულია ივანიშვილისადმი პირადი ნდობის ფაქტორით. მაგრამ – ხალხის ნდობის ლიმიტი უსასრულო არ არის!.. რა მაქვს მხედველობაში? ის, რომ დღევანდელი ხელისუფლების რეიტინგმა ბევრად დაიწია 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ, ხოლო დაჩქარებული ტემპით იწყო კლება იმ დღიდან, რაც ივანიშვილი პრემიერის პოსტიდან გადადგა! ეს, რეალობაა!.. და ბოლოს, ვფიქრობ: ივანიშვილმა უნდა გააცნობიეროს, იგი პოლიტიკურად დროში შეზღუდულია და სულ უფრო გაუჭირდება, რომ „გამარჯვებული დაბრუნდეს პოლიტიკაში“!

ჩემი აზრით, ივანიშვილს პოლიტიკაში დროულად დაბრუნების ვადა ამ წლის ბოლომდე აქვს!.. 2016 წლის ზაფხულისთვის კი, შეიძლება დაგვიანებულიც იყოს, რადგანაც მის „მობრუნებას პოლიტიკაში“ საპარლამენტო არჩევნებამდე 5-6 თვით ადრე, ამომრჩეველი აღიქვამს დახმარების მცდელობად, რათა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მისი მეშვეობით გამარჯვება მოიპოვოს, რასაც შემდგომ – ივანიშვილის „ხელახალი წასვლა მოჰყვება პოლიტიკიდან“! აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილმა უნდა იჩქაროს, თორემ მის გარეშე კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება შეიძლება გაუჭირდეს!



ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი

◎ ტრანსპორტი

ვინც თბილისურ საცობში ერთხელ მაინც მოხვედრილა, ბუნებრივია, ფიქრობს, რა შეიძლება გაკეთდეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. სწორედ ამ მიზნით თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მთავრობამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციას. ნარმანია მიიჩნევს, რომ დედაქალაქის ტრანსპორტისგან განტვირთვის მიზნით კონსულტაციების გამართვა აუცილებელია. ამავე დროს, ქალაქის მერი მარჯვენასაჭიანი ავტომობილების შეზღუდვასაც არ გამორიცხავს. მერის აზრით, ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო დონეზეა მისაღები, არსებობს ძალიან ბევრი ქვეყანა, სადაც მარჯვენასაჭიანი მანქანების მოძრაობა აკრძალულია, რადგან ისინი მოძრაობას აფერხებენ.

ნარმანიას ინიციატივას ჩვენს საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, განსაკუთრებით მარჯვენასაჭიანი მანქანების მფლობელთა მხრიდან. თუმცა, არსებობს ხალხი, ვინც მიიჩნევს, რომ ეს გონივრული მოსაზრებაა, საზოგადოების მეორე ნაწილის აზრით კი, მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების აკრძალვა აბსურდული და გაუაზრებელი ნაბიჯი იქნება. ამ თვალსაზრისს ეთანხმება „ეკოტრასპორტცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი ვასო ურუშაძე.

რატომ არ მოსწონთ მარჯვენასაჭიანი ავტომობილები საქართველოში?

– დედაქალაქის მერი ფიქრობს, რომ ამ საკითხის წამოწევა მოძრაობის განმუხტვის მიზნით ხდება, რაც საერთოდ აბსურდია იმიტომ, რომ მოძრაობის განმუხტვასთან მარჯვენასაჭიანი ავტომობილები კავშირში საერთოდ არ არის. უამრავი მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება, რის გამოც თბილისში გადაადგილება ჭირს: გაუმართავი მანქანები, მძღოლების დაუდევრობა, მათ მიერ კანონის დარღვევა, გაუმართავი საგზაო ნიშნები, სერვისები და ა.შ... ყველაზე მთავარი კი, ავტომობილების ჭარბი რაოდენობა და გაუმართავი ინფრასტრუქტურაა. ამ სიტუაციაში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების ბრალეულობა 0,1 პროცენტიც კი არ არის. სწორედ გაუმართავი ავტომობილების უწესრიგო მოძრაობა ქმნის იმ ქაოსს, რაც დღეს თბილისში ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენაა. ყურადღების გადატანა იმაზე, რომ ყველაფერში დამნაშავე მარჯვენა საჭეა, აბსურდია.

– თუ არსებობს მონაცემები, რამდენი მარჯვენასაჭიანი ავტომობილი დადის დღეს საქართველოში?

– დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში 200 ათასი მარჯვენასაჭიანი ავტომობილია, ეს ძალიან დიდი რაოდენობაა. უნდა ვაღიაროთ, რომ იაპონიიდან შემოტანილი ავტომობილები ღირსეულ კონკურენციას უწევენ ევროპიდან და ამერიკიდან შემოტანილ მანქანებს, რატომ? – იმიტომ, რომ იაპონური ავტომანქანები ძალზე ხშირად უფრო ახალი, ეკონომიური და უსაფრთხოა, ამავე დროს, შედარებით იაფიც. აქედან გამომდინარე, კომპანიები, რომლებსაც ავტომანქანები ევროპიდან და ამერიკიდან შემოაქვთ, იაპონურ მანქანებს კონკურენციას ვერ უწევენ. თუ ერთმანეთს შევადარებთ, ამერიკიდან და ევროპიდან შემოტანილი მანქანები ხშირად მოძველებული და გაუმართავია, თანაც, ნაკლებად ეკონომიურიც. ზოგჯერ მათი ძრავიც ამორტიზებულია და მთლიანად მანქანაც. ამის გამო ბოლო წლებში ბევრმა გადაწყვიტა მარჯვენასაჭიანი მანქანის შეძენა და ეს არც არის გასაკვირი.

– შექმნილ სიტუაციაში გაჩნდა მოსაზრება – მარჯვენასაჭიანი მანქანების შეზღუდვის მიღმა მავანთა ბიზნესინტერესები ხომ არ იმალება?

– შეიძლება, ამ ყველაფრის მიღმა მართლაც იყოს კონკრეტული ჯგუფის ბიზნესინტერესები ან თუნდაც, კორუფციული ინტერესი. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ინფორმაცია, კონკრეტულად ვისი ბიზნესინტერესია ეს, მაგრამ ყველა ნიშანი არსებობს, რომ ვიღაცას შეიძლება, ხელს აძლევდეს ქვეყანაში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვა. აშკარაა, რომ ამ პრობლემის ხელოვნურად წინ წამოწევა ხდება, რაც საფუძვლიან ეჭვებს აჩენს. შეიძლება ვიღაც მართლაც ცდილობს ხელი შეუშალოს იაპონური მანქანების შემოყვანას და რეალიზაციას საქართველოში.

– თუმცა, ყველა ხედავს, რომ დედაქალაქში გადაადგილება საკმაოდ გართულებულია და ამ საკითხის მოგვარება აუცილებელია.

– ჩვენი ხედვა ასეთია: მარჯვენასაჭიანი ავტომობილების არსებობა საერთოდ არ არის კავშირში გადატვირთულ მოძრაობასთან და საცობებთან. დღეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური საკითხებია გადასაწყვეტი – როდესაც ქვეყანაში ტექნიკური დათვალიერება არ არსებობს, საწვავის ხარისხი არ მოწმდება, შემოჰყავთ ავტომანქანები და კატალიზატორებს ჭრიან, სხვა თემებზე ყურადღების გადატანა არ შეიძლება. ევროპაში, ამერიკაში, ან იაპონიაში აზრადაც არ მოსდის ვინმეს, რომ ეკონომიის მიზნით მანქანიდან კატალიზატორი ამოიღოს, ჩვენთან კი ავტომობილების უმრავლესობა მის გარეშეა დარჩენილი და გარემოს წამლავს. ამ პრობლემებთან შედარებით მარჯვენა და მარცხენა საჭე მეასეხარისხოვანია.

– თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები, რომლებიც წლების განმავლობაში დაგროვდა? – თანაც, ისე მოგვარდეს, რომ ავტომანქანების მფლობელთა ინტერესები არ შეილახოს?

– ყოველ შემთხვევაში, ამ სფეროს მოწესრიგება თბილისის მერის კომპეტენციაში არ შედის, დედაქალაქის მერი ქვეყნის სატრანსპორტო პოლიტიკას ვერ განსაზღვრავს. ასეთი გადაწყვეტილებები საჯარო დისკუსიის შედეგად უნდა მივიღოთ. ჯერ უნდა დაიწყოს სამუშაო პროცესი, უნდა განიხილონ, რა უარყოფითი და დადებითი მხარეები აქვს მარჯვენასაჭიან ავტომობილებს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყონ ფიქრი მათი იმპორტის აკრძალვაზე. ამას სულ რაღაც ერთკვირიანი სამუშაო პროცესი სჭირდება. მართალია, მარჯვენასაჭიან ავტომობილებსაც აქვს უარყოფითი მხარეები, მაგრამ არც ისეთი, რომ ქვეყანაში მათი არსებობა საერთოდ აიკრძალოს. ჯერ სხვა, უფრო ფუნდამენტური პრობლემები უნდა გადაწყდეს. ჩემი აზრით, ყველა პრობლემა მოგვარდება, თუ ტექდათვალიერებას შემოვიღებთ და გაუმართავ ინფრასტრუქტურასაც მივხედავთ.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ ალიან-ჩალიანი

გენმოდიფიცირებული...

შემოსავლების სამსახურის აპარატის უფროსის ხატია მოისწრაფიშვილის განცხადებით, საქართველოს საბაჟო საზღვრებზე სასურსათოდ გამოსაყენებელი გენმოდიფიცირებული პროდუქციის კონტროლი განხორციელდება.

როგორც ხატია მოისწრაფიშვილმა განაცხადა, მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საქართველოს საბაჟო საზღვრებზე უკვე ახორციელებს გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების იმპორტის კონტროლს.

გენმოდიფიცირებულ ცოცხალ ორგანიზმად ითვლება ის ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც აქვს გამრავლების, ან გენეტიკური მასალის გადაცემის უნარი. საუბარია ძირითადად სათესლე და სანერგე მასალებზე, მაგრამ აქვე იგულისხმება ის ხილი და ბოსტნეული, რომელსაც აქვს ასევე გამრავლების უნარი. როგორც ცნობილია, პირველ ივლისს ამოქმედდა კანონი გენმოდიფიცირებული სურსათის ეტიკეტირების წესების შესახებ. ამ კანონის მიხედვით შემუშავებულია ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საქართველოს საბაჟოს საზღვრებზე ამ ტიპის სურსათის სასაზღვრო კონტროლის წესი. ამ წესის მიხედვით, საბაჟო კონტროლს დაექვემდებარება ყველა პროდუქტი, რომელიც გადმოკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს და მასზე უნდა იყოს მითითებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის შესახებ სპეციალური ნიშანდება. თუ ასეთი ნიშანდება არ არის, ეს უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტების მიხედვით, რომ არ შეიცავს ეს პროდუქტი გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს. სხვა შემთხვევაში, ასეთი პროდუქტი მოხვდება რისკის პროდუქტში და გადაეგზავნება ლაბორატორიაში კვლევაზე.

ინტერპრესი

რომ არ შემოგვაპაროს

სად იკარგება გზა მოხევესი?

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

კომენტარები არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითონ ლექსი – „რეკვიემად ქცეული ელეგია“ ოლგა სედაკოვასი.

„კავკასიური სახლი“ შემოუძღვებოდა ამ არაორდინარულ პოეტს, მკვლევარსა და მთარგმნელს ქართულ ენობრივ გარემოში, წიგნის ძირითად ბირთვსა და აღნაგობას „სამი მოგზაურობა“ რომ განსაზღვრავდა (მთარგმნელი ნიკო დადიანი), ლექსი კი (მთარგმნელი ლულუ დადიანი) თავისებურ ნათელს შესძენდა წიგნსაც და ოლგა სედაკოვას ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტსაც, ნაირა გელაშვილი და ინა კულიშოვა (მთარგმნელი ლაშა დადიანი) რომ წარმოსახავდნენ წინასიტყვაობად დართულ სტატიებში.

ეს ის მწერალია, აქამდეც რომ უნდა გვცნობოდა, ამიერიდან კი უკეთ და უკეთ უნდა ჩავიხედოთ მის მრავალფეროვან და უაღრესად საგულისხმო შემოქმედებაში, ჯერ მარტო სამოგზაურო ჟანრზეც რომ სულ სხვა შთაბეჭდილებას შეგვიქმნის სტერეოტიპულ შეხედულებათა რღვევით.

სტერეოტიპთა რღვევა საერთოდაც ნიშანდობლივია ოლგა სედაკოვას მხატვრულ-ესთეტიკური და მეცნიერული ძიებებისათვის, ჩვენც ასერიგად რომ გვჭირდება დაპირისპირება სტერეოტიპებთან, რადგანაც საბჭოთა იმპერიის დამსხვრევა და ისტორიის ლაბირინთში მისი გადანაცვლება სულაც არ ნიშნავს, რომ გავთავისუფლდით მარქსისტულ-კომუნისტური აზროვნებისაგან, ძალიან რომ გვიმეხრუჭებს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მსვლელობას ბუნებრივ გზაზე.

– მე შენთვის კი არა გზრდი, არამედ ადამიანებისათვის, რათა ისინი შენთან კარგად გრძნობდნენ თავს, – ეუბნებოდა მამა მომავალ მწერალსა და მეცნიერს, ინა კულიშოვა კი მის სახეზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, რათა ჩვენც შევამჩნიოთ რაღაც ცვეტაევასეული და ახმატოვასეული, უცხო, რაღაც არაქაური, გამოცალკევებული და არსებითი – მანერები, სახე: რეტროსპექტულები, „არასაერთოები“, არაფრის მსგავსნი. ძველისძველი რუსული პროვინციალიზმიდან რომ გამოჰყავხარ ევრაზიულობაზე, მაგრამ არა ევროპულ ფასეულობებზე მოფიქრალი პროვინციალიზმიდან.

– მას ასე სურს, – დასძენს ესეის ავტორი, – მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა – მას ეს გამოსდის. უდავოა მისი მიკუთვნებულობა შემოქმედებითი უმცირესობისადმი, რომელსაც შესწევს უნარი, გადაარჩინოს, სულ ცოტა „ერთი ცალკეული ადამიანი“...

ხოლო ნაირა გელაშვილი მოკლე წინათქმაში გვამცნობს, რომ ოლგა სედაკოვას სიმწიფის ხანის ლექსები რადიკალურად განსხვავდებოდა საბჭოთა იდეოლოგიისათვის მისაღები, მიღებული თუ ასატანი პოეზიისაგან (მათ ახასიათებდნენ როგორც „წიგნურს“, „რელიგიურსა“ და მეტისმეტი „ბრძნობით“ აღბეჭდილს), რის გამოც 1989 წლამდე საბჭოთა კავშირში არსად დაბეჭდილა.

მაგრამ რაკიღა „მეორე კულტურას“ თავისი მკითხველი ჰყავდა და საკმაოდ მრავალრიცხოვანიც, ოლგა სედაკოვას ლექსები საბეჭდ მანქანაზე მრავლდებოდა და უცხოურ და ემიგრანტულ პერიოდიკაში ქვეყნდებოდა.

ამ პოეტის მხატვრული ხილვებისა და აზროვნებისათვის ნიშანდობლივი ეს ლექსიც „რეკვიემად ქცეული ელეგია“ 1982 წელს რომ დაიწერებოდა, ავტორი, შეშინებული იმით, რაც გამოუვიდა, ხელნაწერს არა მარტო გაანადგურებდა, არამედ შეეცდებოდა, საერთოდაც დაევიწყებინა, რადგანაც იმხანად ასეთ ნიმუშებს „ანტისაბჭოთა პროპაგანდის“ კვალიფიკაციას ანიჭებდნენ და სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნეოდა.

ფრანჩესკო კესა, ვისთან ერთადაც მოგვიანებით ოლგა სედაკოვა ლექსის ვრცელ კომენტარებს მოამზადებდა, დასძენს: მეგობრებისთვის წაკითხვაც ან ჩვენებაც უგნურება იქნებოდა, ასე რომ, ამ ნაწარმოებიდან კვალიც არ დარჩენილაო.

მაგრამ... თვით ტექსტი არ დაეთანხმებოდა ამ გარემოებას და ხელშესახებად დაადასტურებდა იმ რწმენას, რომ ხელნაწერები არ იწვის!..

– ორი წლის შემდეგ, მოსკოვის მახლობლად აგარაკზე, დათოვლილ სალტიკოვოში, სრულიად აუხსნელი მიზეზის გამო, ეს ტექსტი კვლავ გაცოცხლდა და ამოტივტივდა ავტორის გონებაში. მაგრამ ეს ხდებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ფრაგმენტულად.

აღდგენილ ტექსტს აშკარად რაღაც დააკლდებოდა.

მაგრამ აღმოჩნდებოდა, რომ ბრეჟნევის სიკვდილს სახელმწიფო დაკრძალვების ეპოქისათვის დაედო სათავე და, მკვდარი გენერალური მდივნის ადგილს ცოცხალ-მკვდარი სულთმობრძავები იკავებდნენ – და... აგერ იური ანდროპოვის ჯერიც დამდგარიყო.

და იმხანად ლექსის ავტორი რომ ამზადებდა სადისერტაციო ნაშრომს თემაზე: „აღმოსავლეთისა და დასავლეთის სლავთა დაკრძალვის წეს-ჩვეულებანი“, რომელშიც განიხილავდა ყველაზე არქაულ, ქრისტიანობამდელ დაკრძალვათა წეს-ჩვეულებების რეკონსტრუქციას, უცნაურ საერთოს აღმოაჩენდა თავის თვალწინ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესთან.

– მათთვის, ვინც ამ წლებში სახელმწიფოებრივ დაკრძალვებს აწყობდა, უცნობი იყო დაკრძალვის წარმართული და, მით უმეტეს, ქრისტიანული რიტუალები: სახელმწიფოებრივ რელიგიად კვლავაც „მეცნიერული ათეიზმი“ რჩებოდა. მათ თვითონ, როგორც შეეძლოთ, ისე შექმნეს რაღაც ახალი რიტუალი. სრულიად არაა აუცილებელი, იცოდე ტრადიციული კერპთაყვანისმცემლობა, რომ საბჭოურ (და საერთოდ ტოტალიტარულ) რიტუალებში რაღაც წარმართული დაინახო.

ფრანჩესკო კესა ამ ლექსს შეადარებდა ანა ახმატოვას „რეკვიემს“, რათა მათი სულიერი საერთო თუ განსხვავება წარმოეჩინა და საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ფინალში ჰამლეტის აჩრდილის გამოჩენა თავისებურ სიმბოლოდ დაადგებოდა იმ მილიონობით მსხვერპლის ხსოვნას, რასაც „უძრაობის ხანად“ მონათლულ წლებში ვერავის გაუზიარებდი.

ლექსი ლექსად და, კომენტარები დამოუკიდებელ მნიშვნელობასაც რომ იძენს, მათგან რამდენიმე შესაძლოა ცალკეულ მონოგრაფიულ ნაშრომებსაც დაედოს საფუძვლად, პოლიტიკური პამფლეტის ჟანრისა, მასალად შევსებაღა რომ სჭირდება, მასალა კი თავზესაყრელია, სიუჟეტურ ქარგასაც თვითონვე რომ გიკარნახებს.

ცალკე გამოხმაურებას მოითხოვს „რეკვიემად ქცეული ელეგიაც“ და მისი ექსკურს-კომენტარები.

მით უფრო – ცალკე გამოხმაურებას მოითხოვს მთელი წიგნი.

ამჯერად ორად ორი დეტალი ვიკმაროთ ექსკურსებიდან.

ევგენი ევტუშენკოს ლექსზე შექმნილი სიმღერა, რომ: ჩვენ არ გვსურდა ომი, – მოხსენიებულია როგორც... მრისხანე საომარი მარში, რომელსაც ერქვა „მშვიდობისათვის ბრძოლა“. საშუალო და უმაღლესი სკოლები ერთიანად რომ გასამხედროებულიყო, ეს ნიშნავდა მზადებას „მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში“. და საერთოდაც „მშვიდობისათვის ბრძოლა“ ბრეჟნევის დროინდელი საბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთ უმთავრეს თემას წარმოადგენდა, საბჭოთა კავშირი კი „დედამიწაზე მშვიდობის ბურჯად“ იყო აღიარებული.

ამ პროპაგანდის კვალობაზე, ბალტიისპირეთსა და დასავლეთ უკრაინაში შეჭრა ისტორიის სახელმძღვანელოებში „ომის დაწყების წინ მშვიდობისათვის ბრძოლად“ საღდებოდა. ასეთივე სამშვიდობო აქციად მიიჩნეოდა ჯარების შეყვანა პრაღასა თუ ავღანეთში („მოსალოდნელი ომის თავიდან ასაცილებლად“).

ამას დაემატებოდა „იძულებითი მშვიდობა“:

– ასე უწოდეს საომარ კონფლიქტს საქართველოსთან.

ჯერაც ამ „იძულებითი მშვიდობის“ პირობებში ვიმყოფებით.

და უკრაინაც კვლავ რწმუნდება, თუ რას გულისხმობს „ომის დაწყების წინ მშვიდობისათვის ბრძოლა“.

საგულისხმო აქ ერთი გარემოებაცაა, თავისთავად ვრცელ ექსკურსს რომ მოითხოვს, აქ კი სასხვათაშორისოდაა გადატარებული, უფრო სწორად, მინიშნებით მიგვანიშნებენ, ოღონდ მსჯელობა აღარ არის გაშლილი:

ევგენი ევტუშენკოს ლექსი ბუნებრივად რომ ჩაწერილა საბჭოთა პროპაგანდაში!..

არადა, ეს ხომ ის ევტუშენკოა, დისიდენტივით რომ მოქმედებდა და სკანდალურ მწერლადაც აღიარებულიყო.

ეს – გარეგნულად.

ხელისუფლებისაგან ბოძებული „ჯარტ-ბლანშის“ წყალობით, ისევე როგორც მისი რამდენიმე თანამემამულე, დასავლეთისათვის წარსადგენად რომ დაესაჭიროებინა წითელ იმპერიას – ჩვენთანაც არიან განსხვავებული აზრის ადამიანები, რომელნიც სულაც არ იდევნებიან და საკუთარ მოსაზრებებს თავისუფლად გამოთქვამენო.

ევტუშენკოსა და მისნაირთა არსებობა აუცილებელი გახლდათ ნამდვილ დისიდენტთა რბევა-დაპატიმრებათა მისაჩქმალად.

ხელისუფლებისაგან დანიშნულ დისიდენტებს ეს მოვალეობა ეკისრებოდათ და ისინიც წარმატებულად თამაშობდნენ ამ როლს, ყველაზე მნიშვნელოვან წუთებში ხელისუფლების გვერდით რომ დგებოდნენ, ანდა ისე გაყუჩდებოდნენ, მათგან წამოკნავლებასაც ვერ მოისმენდი. და ამიტომაც იყო, რომ ქართველი ხალხის დიდ მეგობრად თვითგამოცხადებული ევტუშენკო, ჩვენს ქვეყანაშიც უამრავ წყალობას რომ იშოვნიდა, სამარესავით დადუმდებოდა ცხინვალისა და სოხუმის ტრაგედიებისას. თუმც... რუსული პროპაგანდის მიხედვით ეს ხომ რუსეთ-საქართველოს ომის ეპიზოდები არა ყოფილა, არამედ... „იძულებითი მშვიდობა“...

ჩვენც თუ გვყავდნენ ხელისუფლებისაგან დანიშნული დისიდენტები?

გვყავდნენ რომელია... და მათი გახსენებაც მოგვიწევს თუნდ „დროის იეროგლიფების“ ციკლშიც, მათი ვითომდა დაფარული იეროგლიფის გაშიფვრაც.

ესეც ის ერთი დეტალი.

ხოლო მეორე დეტალი „ისტორიული აუცილებლობის“ შინაგანი მექანიზმის გახსნაა, კომუნისტურ იდეოლოგიაში რაღაც უზენაესი ღვთაების ადგილს რომ დაიმკვიდრებდა, ღვთაებისა, რომელსაც მსხვერპლად ადამიანები ეწირებოდნენ.

კომენტატორები შეგვახსენებენ, რომ „გამართლებული დანაშაულის“ ეს იდეა ალბერ კამიუმ გააანალიზა, ვისი ნობელის სიტყვაც და „მეამბოხე ადამიანიც“ „სამიზდატის“ გამოცემის წყალობით ხელიდან ხელში გადადიოდა 70-იან წლებში.

ირკვეოდა, რომ ჰეგელისეული ფატალიზმი მარჯვედ გამოეყენებინათ პროლეტარული რევოლუციის პრაქტიკოსებს, რაკიღა „აუცილებლობის“ გამო აღარავის ეკისრებოდა მორალური პასუხისმგებლობა – ის უგულებელყოფდა ყოველგვარ სამართალს, ეთიკას, ლოგიკას.

ხოლო იმის თაობაზე, თუ იმ წუთას რას გულისხმობდა „ისტორიული აუცილებლობა“, გადაწყვეტილებას პარტია და მისი ბელადი ღებულობდნენ: მხოლოდ ისინი ფლობდნენ ამ საიდუმლოებას, და კიდევ მეტიც, თვით ისინი იყვნენ ამ საიდუმლოების უშუალო აგენტები. ასე და ამგვარად, მათი მოქმედება არავის არაფერს ეკითხებოდა და არც ექვემდებარებოდა.

მსჯელობა გრძელდება და გაგვითვალსაჩინოებენ, რომ: „ისტორიული აუცილებლობის“ იდეა შეცვალა დანაშაულის გამართლების სხვა განსაზღვრებამ – „ეფექტურობამ“.

ამიტომაცაა, რომ „ეფექტურობა“ ასევე მაღლა დადგა ჩვეულებრივად აღიარებულ სამართალსა და მორალზე.

ამიტომაცაა, რომ რუსული ისტორიის ახალ სახელმძღვანელოებში სტალინიც „ეფექტურ მენეჯერად“ იქცა.

და ექსკურსის ავტორები რომ გვიცხადებენ:

ის, რომ „ისტორიული აუცილებლობა“ და „ეფექტურობა“ დანაშაულის საყოველთაო გამართლებად გამოდგება, ანუ ერთი და იგივეა, ალბერ კამიუსათვის უკვე ცნობილი იყოო, – თავის მხრივაც მოადევნებენ:

– „ეფექტურობა“ კიდევ უფრო მეტად გაუაზრებელი რამაა: „ისტორიული აუცილებლობა“ ტრაგიზმის ელემენტს შეიცავს: გარდაუვალი და, ამასთან, სევდიანიცაა. „ეფექტურობა“ კი მთლიანად ოპტიმისტურია.

რასაც ოლგა სედაკოვა და მისი იტალიელი თანაავტორი წერენ რუსულ სინამდვილეზე, სამწუხარო ზეგავლენის გამოისობით, პირწმინდად მიესადაგებოდა ჩვენს რეალობასაც, „ეფექტურობამაც“ და „მენეჯერობამაც“ რაღაც უზენაესი ღვთაების ადგილი რომ დაიკავა და ერთიანად განმსჭვალა ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მდინარება – დანაშაულის საყოველთაო გამართლებამ, განუკითხაობისა და ძალადობის გარდუვალობის მტკიცებამ.

ასე მოგვევლინა ახალი დროის „ეფექტურ მენეჯერად“ ნაციონალური პარტიის ბელადი, რაღაც დიდი საიდუმლოს მფლობელად, მარტოდენ იგი და მისი პარტია რომ ფლობდნენ ამ საიდუმლოს... და მაშ ვისთვის რაღა უნდა ეკითხათ და ვის უნდა დაქვემდებარებოდნენ.

თავიანთ ქვეყანაში, თორემ!..

და ძალმომრეობისას ისევე ითელებოდა ფეხქვეშ ყოველგვარი სამართალი, ეთიკა და ლოგიკა, როგორც საქართველოს კონსტიტუცია.

და სევდაც კი სანატრელი გაგვიხდებოდა, ტელევიზიებიდან მოზღვავებული მჩქეფარე ოპტიმიზმი რომ წალეკავდა ყველასა და ყველაფერს. და 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიაც ამიტომ გამოცხადდებოდა ომის მოგებად, შესაფერისი ზარზეიმითაც რომ აღინიშნებოდა.

სტალინის ძეგლს რომ იღებ, ის კვარცხლბეკი შენი ქანდაკების დასადგმელად კი არ უნდა მოასუფთავო, შენს სულში უნდა ეცადო სტილიზმის აღმოფხვრას!..

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ... დღესდღეობითაც დიდ ცვლილებებს ვერ ვატყობთ ჩვენს ყოფაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება კვლავინდებურად „ეფექტურობის“ ნიშნითა და „მენეჯერობის“ ხოტბა-დიდებით რომ მიედინება. ეგაა, „იმ საიდუმლოს“ ახლა სხვანი დაპატრონებიან და სხვანი განსაზღვრავენ, თუმც, არც კოჰაბიტაციური ანგარიშის გაწევაც ავიწყდებათ.

ტელევიზიები კვლავაც ოპტიმისტურ განწყობილებას გვინერგავენ, დაკვეთილს, თორემ ნამდვილ ოპტიმიზმს რა სჯობს, როდესაც ქვეყნისა და ადამიანის ბედი სათამაშო არა ხდება „ისტორიული აუცილებლობისა“ თუ „ეფექტურობის“ მქადაგებელთა ხელში.

* * *

თითქოს „მგზავრის წერილების“ ფინალური სტრიქონები შემოგვბრუნებია.

ან რაღა თითქოს...

ტკივილი ტვინიდან გულამდე ჩარბის, იქ, გულში ითხრის სამარეს და იმარხება.

როდემდის უნდა გვრჩებოდეს ეს ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?..

ჩვენო საყვარელო მიწა-წყალო, ახლა მაინც მოგვეც ამის პასუხი!..

როსტომ ჩხეიძე

ჯიმჯო

ნოველა

ლოჯაიის ფანჯრიდან ივნისის წარმტაცი დილა იჭვრიტება და ირგვლივ მაცოცხლებელ, გრილ ჰაერს აფრქვევს.

ნაღვინევი, ტრუსის ამარა, გულაღმა ვწევარ ტახტზე და ვფიქრობ ამა ქვეყნის ამაოებაზე. მარტოკაცს ფიქრს რა გამოულევს?!

„არაფერია ფიქრივით სწრაფი,
მეც სიზმრეული ფრენით ვეწამე...“

გამახსენდა მივიწყებული პოეტის ლექსის სტრიქონები. ვეცადე, მაგრამ ჩემი მეხსიერების მარაგიდან აღარ ამოტივტივდა შემდეგი სიტყვები.

მზერა ჩემს ფეხსაცმელზე გადავიტანე:

რა ლამაზი ფეხსაცმელი მქონია!.. რამდენი ხანია, რაც ვატარებ, თუ ის მატარებს და ერთხელაც არ დაუჩივლია...

სიგარეტს მოვუკიდე და ბოლი რგოლებად გამოვუშვი მოკუმული ტუჩებიდან. რგოლებმა ნარნარით იწყეს ჭერისკენ ასვლა. ერთი რგოლი კედლის კუთხეში ოსტატურად მოქსოვილ ობობის ქსელს დაეჯახა და გაიშალა. მწერების მოდარაჯე ობობა შეიშმუშნა, ალბათ, ნიკოტინის მწვავე სუნმა შეაშფოთა და რადგან მეცნიერ-არაქნოლოგების გამოკვლევით, ობობებს სმენისა და ყნოსვის ორგანოები ფეხებზე აქვთ მოთავსებული, რვა პაწაწინა ფეხი ააცმაცუნა, უკმაყოფილოდ მომაშტერდა რვა თვალით (წარმოგიდგენიათ? რვა თვალით, თითქოს ორი არ კმაროდა!) და თავის მინიატიურულ ბუნაგში შეიყუჟა.

ჩვენი მშვენიერი, უცნაური პლანეტის უძველეს ბინადარს, ობობას და მე დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. სხვანაირად ვერც ვიცხოვრებდით ერთ ჭერქვეშ; ის ხომ ლოჯიაში, საბას ლექსიკონს თუ დავესესხებით, ჩემი ებგური, ანუ მცველია - ქინქლებს, ბუზებს და რაც მთავარია, სისხლისმსმელ კოღოებს ანადგურებს. ქინქლები მწვავედ მსუსხავენ, აბეზარი ბუზები ბზუილით მიფრთხობენ ძილს, ავი კოღოები კი - ღამის სიბნელით რომ სარგებლობენ, ვერაგულად მესხმიან თავს, ირჩევენ ჩემი სხეულის იმ უჯრედებს, სადაც საუკეთესო სისხლი ჩქეფს, ბასრი ხორთუმით მნესტრავენ და მუცელს ივსებენ; თვითონ ძღებიან, მე კი ნაკბენ ადგილს გაშმაგებით მაფხანინებენ.

ჩემს ფიქრებში მადლიერების გრძნობით ვესაუბრებოდი თვალებგადმოკარკლულ მეგობარ ობობას, რომელმაც, ვინ იცის, რამდენჯერ მიხსნა მალარიით დასნებოვნებისგან; მალარიის გადამტან ვირუსს ხომ, როგორც მედიცინა გვანათლებს, მდედრი კოღო - ანოფელესი ავრცელებს. სწორედ ის ანოფელესი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნეში რამდენიმე წლით შეაფერხა პანამის არხის მშენებლობა და კოლხეთის დაბლობის ჭაობების ამოშრობამდე, ცოდვის კევრი დაატრიალა დასავლეთ საქართველოში...

ლოჯიიდან აივანზე გავედი და ღრმად ჩავისუნთქე თიბათვის დილის კრიალა ჰაერი. მორცხვმა სიომ ეზოში გალაღებული ბლის ჯერ კენწერო ააშრიალა, მერე კი – მთელი ხე აათრთოლა...

ბლის რტოზე გვერდიგვერდ ორი მონაცრისფრო გვრიტი შემოჯდა. მამრი უფრო მოზრდილი იყო, მეორე კი – მდედრი, მომცრო ტანისა. ისინი საამოდ აღუღუნდნენ; ალბათ, თავიანთ ენაზე სიყვარულს ამჟღავნებდნენ ერთმანეთს; მერე ნისკარტი ნისკარტზე გაუსვეს მოფერების, თუ კოცნის გამოსახატად. მამრმა გვრიტმა კოცნა არ იკმარა – ურცხვად წამოასკუპდა მდედრს ზურგზე და დღისით, მზისით, ქვეყნის დასანახად დაპეპლა – ამით მან თავისი პატრიარქალური ვალი მოიხადა ბუნების წინაშე. მამრი ისევ რტოზე გადახტა და ვითომც აქ არაფერიაო, ფრთების ქვეშ ბუმბულის ქექვას შეუდგა. დედალმაც მიბაძა თავის გულისსწორს. თავის ტრიალისას ისინი ხატოვნად აჩენდნენ კისერზე ზოლად შემოვლებულ შავ არშიას. ისეთი საყვარლები იყვნენ, რომ... რომ შემშურდა მონოგამი, ორნითოლოგების მიერ ერთგულების სიმბოლოდ აღიარებული გვრიტებისა!.. უცებ მდედრ გვრიტს თივთიკივით ფაფუკი ბუმბული მოსძვრა ფრთიდან და ნარნარად დაეშვა მიწისკენ. ბუნებაში ხომ არაფერი იკარგება - ანცმა ბეღურამ ჰაერშივე აიტაცა მოფარფატე ბუმბული და თავის ბუდისკენ გააქანა!..

აივანზე შილიფად ჩაცმულს დილის სიგრილისგან შემაჟრჟოლა. კვლავ ტახტზე წამოვწექი და თვალები მივლულე – შევეცადე, კვლავ წამეძინა.

უცებ ჭიამაია დამაჯდა ხელზე. ალბათ, მაშინ შემოფრინდა, როცა აივანზე გასვლისას კარი ღია დავტოვე.

დავყურებ ამ თამამ არსებას და აღფრთოვანებას ვერ ვმალავ!

რა ლამაზია!..

ყვითელი ფრთები შავი წინწკლებით აქვს მოჩითული.

ზის ჩემი ხელის მტევანზე და აღარ მიდის. ეტყობა, მოეწონა ახალი ბინა!

ვუყურებ და მიხარია!

ისეთი მომხიბლავია, ფხიზელი რომ ვყოფილიყავი, დამათრობდა!

სხვა დროსაც მინახავს ჭიამაია, დიდი ზომის, წითელი ფრთებით, თეთრი ხალებით; ეს სულ სხვანაირია – ისეთი პატარა, უსუსური, ნაზი არსებაა, რომ სასოებაში ჩააგდებს ადამიანს.

დავუწყე თამაში ციდან მოფრენილ ამ ჭრელკაბა ქმნილებას.

მოეწონა.

ავწევ ხელს მაღლა, ისიც თითის წვერზე წამოსკუპდება; თითს შევარხევ – ფრთებს ააფრიალებს, მაგრამ არ მიფრინავს.

ვეცადე, მხარზე დამესვა, იქნებ სახეზე ამოცუნცულდეს-მეთქი. ასეც მოვიქეცი.

პატარაზე აფრინდა და ჩემს მკერდზე აბიბინებულ ჯაგარში არ გაიხლართა?!. წვალებით გადადის ერთი ბეწვიდან მეორეზე, მეორიდან - მესამეზე, მესამიდან – მეოთხეზე...

არ ვეხმარები: ვაითუ, გაფრინდეს...

ბოლოს, შემეცოდა, ნეკი გავუწოდე საშველად. ისიც ამოცოცდა თითზე და ჩემს ხელისგულზე დაიწყო ნავარდი.

ცოტა ხნის მერე ჭიამაია გაირინდა, მგონი, მიეძინა.

მეც დამიმძიმდა ქუთუთოები...

შუადღისას გამომეღვიძა. ჭიამაია აღარ ჩანდა: ვიფიქრე, ალბათ, მოსწყინდა სტუმრად ყოფნა და ღიად დატოვებული ფანჯრიდან გაფრინდა, რათა ჩემი ოცნების ფერიასთვის მოკითხვა და ნახვის ნატვრის სურვილები გადაეცა-მეთქი.

დამენანა მისი გაუჩინარება.

კვლავ სიგარეტი გავაბოლე და ინსტინქტურად ჭერს მივაპყარი თვალები.

აღშფოთების ყვირილი აღმომხდა მკერდიდან:

მტარვალი ობობას მიერ დანესტრილი ჭიამაია აბლაბუდაში ირხეოდა...

ასე ტრაგიკულად დაიღუპა მშვენიერება ჩემს სტუმართმოყვარე ლოჯიაში.

ლევან დათუკიშვილი

შოთა ზოიძე

ბათუმის ბულვარი

ეს ლექსი იმ ასაკში დავწერე, ამ სურათში რომ ვარ. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. მე იგი არც ერთ ჩემს კრებულში არ შემიტანია. ახლახან წავაწყდი ძველ რვეულში. გადასაგდებად ვერ გავიმეტე. თავისი წიგნის ანოტაციაში მწერალი იანუშ კორჩაკი ამბობს „ეს სურათი წიგნს იმიტომ დავურთე, რომ ჩემთვის ყველაზე კარგი დრო ის კი არ იყო, როცა მათიუშ მეფის ამბავს ვწერდი, ყველაზე კარგი დრო ის იყო, როცა მეფობა მინდოდა.“ ამ სიტყვების ავტორისაგან განსხვავებით, იმ ასაკში, ამ სურათში რომ ვარ, მწერლობა მინდოდა. ეს ლექსიც ამისი დასტურია.

ჩემი მეტაფორა – ბათუმის ბულვარი,
ჩემი სიყვარულის ცეცხლი და ამქარი,
ამ ქვეყანაზე სამოთხე თუ არი,
სხვაგან არ ეძებო, სამოთხე აქ არი,

აქ, როცა ქარვა წვიმს, ცა გადამქრალია,
ქარების ქროლვებს კი აქარვებს ყვავილი,
ამ ქვეყნად რამდენიც ლამაზი ქალია,
მგონია, ბათუმის ბულვარში გაივლის.

და დარონინობენ, ზოგჯერ დროგაშვებით,
კენარი ქალები, ლომგულა ვაჟები,
ბათუმის ბულვარში გალობენ შაშვები,
შაშვები გალობენ და გარიჟრაჟები.

ბათუმის ბულვარში წყვილები დადიან,
ზღვას ეფერებიან, მრისხანე გოლიათს.
ამ ქვეყნად რამდენიც ლამაზი ვარდია,
სუყველა ბათუმში დარგული მგონია.

გოგონა, გუშინ რომ ბაფთები მოიხსნა,
ყმაწვილი, გუშინ რომ მოისხა ულვაში,
ბულვარში ერთმანეთს სიყვარულს უხსნიან,
ერთმანეთს ხვდებიან ბათუმის ბულვარში .

მეც გელოდებოდი ბათუმის ბულვართან,
იქ, სადაც ყოველდღე გალობენ შაშვები,
ბათუმის სიყვარული თუ დაგემართა,
აღარ ეძებო წამალი და საშველი.

არ განიკურნები, ისეთი სენია,
უამსიყვარულოდ დილაც კი ბნელია,
სიყვარულზე რაც სიმღერები მსმენია,
მგონია, სუყველას ბათუმზე მღერიან.

ესენინს შაგანი აქ შეუყვარდა,
გოგლამაც სამშობლო აქედან დალოცა,
მეც შენ გაგიცანი ბათუმის ბულვართან,
პირველად ბათუმის ბულვარში გაკოცე.

დედამიწის ზურგზე

უკრაინას არ სურს საავტომობილო ბადრაგის რუსეთიდან გატარება

ადრე კიევი არაერთგზის გამოთქვამდა კრიტიკას დონბასში რუსული დახმარების მიწოდების გამო რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ჰუმანიტარული კოლონების მეშვეობით: იქ ბადრაგს უკონტროლოს უწოდებენ. ახლა უკრაინა სთავაზობს შეიტანონ ტვირთი რკინიგზით და საერთაშორისო კონტროლის გავლით.

ხარკოვში „ახალი ფოსტის“ განყოფილებაზე თავდასხმის შედეგად 3 კაცი დაიღუპა

„ერთ-ერთი მთავარი ვერსია იქნება ის, რომ ეს გააკეთა უცნობთა იმავე ჯგუფმა, რომლებმაც ოთხჯერ გაძარცვეს განყოფილებები და დახოცეს ინკასატორები და დღემდე ამოუცნობლებად რჩებიან“, — განაცხადა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველმა ანტონ გერაშჩენკომ.

პენტაგონის გენერალმა რუსეთს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მთავარი საფრთხე უწოდა

ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარების კორპუსის გენერალმა ჯოზეფ დანფორდმა სენატში გამოსვლის დროს რუსეთს ყველაზე დიდი საფრთხე უწოდა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. დანფორდის კანდიდატურა შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე შეთავაზებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ.

ლატვიის პრეზიდენტს სურს, ბალტიისპირეთში იხილოს ნატოს რაც შეიძლება მეტი ძალები და მოელაპარაკოს პუტინს ყირიმის შესახებ

ლატვიის ახალ ხელმძღვანელს ქვეყნის ყოფილ თავდაცვის მინისტრს რაიმონდს ვეიონისს მიაჩნია, რომ ბალტიის ყოველ ქვეყანასა და პოლონეთში უნდა იყოს ნატოს თითო ბატალიონი მაინც — ამჟამინდელი 150 ჯარისკაცის ნაცვლად. ამავე დროს ფსკოვში დაბადებული ლატვიის ლიდერი დარწმუნებულია, რომ რიგამ უნდა მოაწესრიგოს ნორმალური ურთიერთობანი მოსკოვთან.

ბანგლადეშში უფასო ტანსაცმლის დარიგების დროს მოხდა ზედახორა, დაიღუპა 20-ზე მეტი დასუსტებული ქალი და ბავშვი

დაახლოებით ათას ხუთასი კაცი ცდილობდა მიეღო უფასო ტანსაცმელი დახმარების გაცემის დროს მეწარმეების მიერ ქალაქ მენსაინიდან. დაღუპულთა უმრავლესობა — ესენია დასუსტებული და მეტად ღარიბი ქალები, ასევე ზემოქმედებისა და ზედახორის შედეგად დაიღუპა 2 ბავშვი. ტრაგედიის მსხვერპლთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

ინდონეზიაში ვულკანის ამოფრქვევის გამო 5 აეროპორტი დაკეტეს

მიზეზი გახდა ვულკან რაუტის გააქტიურება კუნძულ იავას აღმოსავლეთში. პარალიზებულია საავიაციო ურთიერთობა ტურისტებში პოპულარული ბალისა და ლომბოკის კუნძულებზე, გადაიდო ან გაუქმდა რეისები ჯაკარტიდან და სურაბაიადან. ეს ასევე შეეხო რეისებს ავსტრალიაში, იაპონიასა და სინგაპურში.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„საქართველოს ხელისუფლება ველოსიპედის ხელახლა გამოგონებას ცდილობს“

საქართველოში შეიქმნება სახელმწიფო მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი. ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. ამ ცენტრში ქართველ სახელმწიფო მოსამსახურეებს შესთავაზებენ მთელ რიგ სავალდებულო ტრენინგსა და პროგრამას მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ამ დროს პრემიერის ინიციატივა სიხარულით აღიქვა ზოგიერთმა მინისტრმა, ამან აამაღლა არასამთავრობო სექტორის სიფხიზლეც.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აღსავსეა იმის სურვილით, რომ აიყვანოს სახელმწიფო ჩინოვნიკები სხვაგვარ, უფრო მაღალ დონეზე — განათლების თვალსაზრისით. ამ მიზნით სახელმწიფოს მეთაურმა წამოაყენა წინადადება მოაწყონ ქვეყანაში ცენტრი, სადაც სახელმწიფო მოსამსახურეები რეგულარულად გაივლიან სპეციალურ ტრენინგებს და ჩაერთვებიან ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამებში. და არა ნებაყოფლობის, არამედ, როგორც ჩანს, სავალდებულო საფუძველზე. თავისი იდეა ღარიბაშვილმა საჯაროდ გაახმაურა მთავრობის სხდომაზე.

„გასულ კვირას ჩვენ დავიწყეთ მუშაობა სახელმწიფო სამსახურის შესახებ კანონის ახალ პროექტზე. პრინციპულად, ჩვენ უკვე მივედით დასკვნით ფაზამდე და კანონპროექტი უკვე გავაგზავნეთ პარლამენტში. გადაწყვეტილია: როგორც კი კანონი შევა ძალაში, ქვეყანაში გაიხსნება სახელმწიფო მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი. დღეს მთავრობის სხდომაზე ესწრება განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნინო ჭელიძე. მე ვთხოვე მას მოამზადოს გეგმა, თუ როგორაა საჭირო ამ ცენტრის გაფორმება“, — თქვა ღარიბაშვილმა. ამ დროს პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარი ცენტრები მოქმედებენ ევროპის მრავალ ქვეყანაში.

ჭელიძემ, თავის მხრივ, ისაუბრა იმის შესახებ, რომ საქართველოს მომავალი ცენტრი ითანამშრომლებს ჩინოვნიკების მომზადების ისეთ ცნობილ ევროპულ სკოლებთან, როგორებიცაა გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციის სკოლა და პოლონეთის ადმინისტრაციული მომზადების ცენტრი. ამ დაწესებულებათა სპეციალისტები ჩაერთვებიან პროგრამების დამუშავებაში საქართველოს სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის, ხაზგასმით აღნიშნა ჭელიძემ.

„ეს სკოლა მოგვცემს საშუალებას, საწყის ეტაპზე ხელახლა მოვამზადოთ 12-14 ათასი სახელმწიფო მოსამსახურე. ტრენინგები ჩინოვნიკებისათვის იქნება როგორც საბაზო, ისე თემატური. მომზადება საშუალებას მისცემს სახელმწიფო მოსამსახურეებს, წინ წაიწიონ სახელმწიფო კიბეზე, მაგრამ მთავარია ის, რომ სწავლა ცენტრში საშუალებას მისცემს ჩვენს ჩინოვნიკებს კიდევ უფრო მიუახლოვდნენ ევროპულ პოლიტიკურ სტანდარტებს. ცენტრში იქნება ყველაზე მრავალმნიშვნელოვანი და საინტერესო ტრენინგები და სწავლების ფორმები. ესაა მოდელირებული სწავლება, ჯგუფური სწავლება და ა.შ.“, — ხაზგასმით აღნიშნა განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა. პირველ ეტაპზე ცენტრის ორგანიზაციისათვის გამოიყოფა 2 მილიონი ლარი სახელმწიფო სახსრებიდან. მთავრობაში არ მალავენ, რომ სამომავლოდ ხარჯები შეიძლება გაიზარდოს, თუმცა, რამდენად — ამის პროგნოზირება ჯერჯერობით ძნელია.

ამავე დროს პრემიერის ინიციატივას მაინც ერთხმად დაუჭირეს მხარი მინისტრთა კაბინეტში. თავდაცვითი უწყების ხელმძღვანელი თინათინ ხიდაშელი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც განაცხადა, რომ ქართველ ჩინოვნიკებს, მათ შორის მინისტრებსაც, ზოგჯერ მეტად სჭირდებათ მომზადება. სამაგიეროდ, ისეთი ცენტრის შექმნის აუცილებლობაში, სადაც სახელმწიფო მოსამსახურეები აიმაღლებენ კვალიფიკაციას, დიდად დარწმუნებული არ არის ზოგიერთი ქართველი ექსპერტი, მაგალითად, ქართველ პოლიტიკოსს რამაზ საყვარელიძეს აღელვებს ის, რომ ქვეყნის ხელისუფლება, სადაც მძვინვარებს სავალუტო კრიზისი და სადაც უამრავი სხვა პრობლემაა, აპირებს დახარჯოს ფული იმ საგანზე, რომლის ეფექტიანობაც დიდი კითხვისნიშნის ქვეშაა.

„ჩვენ გვაქვს პრობლემები სახელმწიფო მოსამსახურეებთან დაკავშირებით, მაგრამ არა მათი მოუმზადებლობის მიზეზით, არამედ არასტაბილურობის მიზეზით, რაც დაკავშირებულია ხელისუფლების მთელი სახელმწიფო აპარატის შეცვლასთან. მაშინ სახელმწიფო მოსამსახურეები კარგავენ იმ გამოცდილებას, რომელსაც იძენენ. სახელმწიფოს არ შეუძლია იკისროს პედაგოგიური პროცესის მთელი სიმძიმე“, — ამბობს საყვარელიძე. მისი აზრით, ხელისუფლებამ, როგორც ამჟამინდელმა, ისე მომდევნომ, თავიდან უნდა ავიცილოთ დამკვიდრებული და აპარატის „წმენდასთან“ დაკავშირებული დამღუპველი პრაქტიკა, რაც არსებობდა წინა ხელისუფლებათა დროს.

იდეის წარმატებაში ეჭვი ეპარება ქართველ ექსპერტს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორს თორნიკე შარაშენიძეს. ის საუბრობს იმის შესახებ, რომ სრულუფლებიან კადრებს სახელმწიფო აპარატების შევსებისათვის უშვებენ არა მხოლოდ სასწავლებლები, სადაც ისინი მუშაობენ, არამედ საქართველოს ბევრი სხვა უმაღლესი სასწავლებელიც. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, თუ სახელმწიფო მეტ ყურადღებას დაუთმობდა სტუდენტთა განათლებას, და არა მოქმედ ჩინოვნიკებს, მიაჩნია შარაშენიძეს.

„სახელმწიფოს სურს, მიიღოს ახალი პროდუქტი, მაგრამ ამაში არაფერი ახალი არაა. ამჟამად ისინი ცდილობენ, გამოიგონონ ველოსიპედი ხელახლა. ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლება მივა იმ აზრამდე, რომ ეს ყოველივე უნდა გაკეთდეს აუტოსორსინგზე, საჭიროა მოვნახოთ კარგი კონტრაქტორი, კარგი კონტრაქტორები კი უკვე არსებობენ — ესენია „კიპა“ და სხვა უმაღლესი სასწავლებლები“, — ამბობს შარაშენიძე.

მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, **საქართველოს ხელისუფლება პრემიერ ღარიბაშვილის მეთაურობით, როგორც ჩანს, აღსავსეა გამბედაობით.** მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი დაგვპირდა, რომ ჩინოვნიკები სისტემატურად აიმაღლებენ კვალიფიკაციას. ელოდებიან, რომ ახალი ცენტრი სრულფასოვან ფუნქციონირებას ერთი წლის შემდეგ დაიწყებს.

Эхо Кавказа

◎ ფხიზლად, ქართველებო!

რჯულგაყიდული საალ

„ისლამური სახელმწიფოს“ მიმდევრები აფხაზეთშიც გამოჩნდნენ

პანკისის ხეობისგან განსხვავებით, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ვაჰაბიტური მოძრაობა ნაკლებად ორგანიზებულია, თუმცა, ამის მიუხედავად, მკვეთრად იმატა ისლამის სარწმუნოების მიმდევართა რიცხვმა, ისინი ეწევიან პროპაგანდას და თანამოაზრეების მეშვეობით ადგილობრივ მოსახლეობაში ავრცელებენ ლიტერატურას. უმეტეს შემთხვევაში გამუსულმანების ფაქტები დაფიქსირებულია გუდაუთასა და ტყვარჩელის რაიონებში, სადაც ადრეც იყვნენ მუსულმანური სარწმუნოების აფხაზური ოჯახები, რომელთა წინაპრები მოჰაჯირობისას გადაასახლეს და მათ ახლო ნათესაური კონტაქტები ჰქონდათ შენარჩუნებული.

აღსანიშნავია, რომ წლების წინათ აფხაზ მუსლიმანთა სასულიერო მმართველობის დიდი ძალისხმევით, სოხუმში (ჩერნომორეცთან) ამოქმედდა მეჩეთი, რომლის წინამძღვარია იმამი, აფხაზეთის მოქალაქე საალ კვარაცხელია. კვარაცხელია ადრე მართლმადიდებლური წესით იყო მონათლული, მაგრამ ირანში სასწავლებლად წასვლის შემდეგ ისლამი მიიღო და აფხაზეთში იმამის სასულიერო წოდებით დაბრუნდა.

ქართველი ექსპერტების განცხადებით, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე აქტიურად მოქმედებენ როგორც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები, ასევე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების ემისრები, რომლებიც წმინდა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების გარდა, აქტიურად ესწრაფვიან ადგილობრივ მოსახლეობაში ისლამის უკიდურესად რეაქციული მიმდინარეობის — ვაჰაბიზმის გავრცელებას.

მათივე განცხადებით, ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე, აფხაზური ეთნოსის წარმომადგენელთა რეპატრიაციის საბაბით, ვლადისლავ არძინბას გარემოცვა ყველანაირად უწყობდა ხელს თურქეთის, სირიის, იორდანიის და სხვა ისლამური ქვეყნების ვაჰაბიტური მიმდევრების მოქალაქეთა შემოყვანას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

როგორც კავკასიოლოგი ალეკო კვახაძე ამბობს, გამომდინარე იქიდან, რომ ოკუპირებულმა აფხაზეთმა შეიფარა სირიიდან დევნილი 100-ზე მეტი ოჯახი, არის მოსაზრება, რომ ამ ადამიანების მეშვეობით მოხდა აფხაზეთში ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიის



ფსევდოპოლიტიკოსები პოლიტიკური სარბიელიდან უნდა განიდევნონ

სამწუხაროდ, საქართველოში გამომავალი გაზეთების აბსოლუტური უმრავლესობა „ყვითელია“ და წერენ ძირითადად კრიმინოლოგიის თემაზე, — თუ ვინ ვისთანაა შეკრული ან მომავალში ვისთან იქნება მიკედლებული. მათი ფურცლები აგრეთვე ეთმობა საარჩევნო კოდექსის შემუშავების საკითხებს. საერთოდ კი, არაფერს წერენ პოლიტიკაზე, რაც უმთავრესია ქვეყნის განვითარების საქმეში. არც ფსევდოპატრიოტებმა და არც პოლიტოლოგებმა არ იციან რა არის პოლიტიკა და მას რა დანიშნულება აქვს. რა არის პოლიტიკა? — შინაური და გარეშე საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზი, შედეგად სწორი დასკვნების გამოტანა და ამ დასკვნებზე დაყრდნობით სახელმწიფოს ტაქტიკური და სტრატეგიული გეგმების შემუშავება. რასაკვირველია არსებობს პოლიტიკის კლასიკური განმარტება, მაგრამ მკითხველმა ნათლად რომ წარმოიდგინოს მისი მნიშვნელობა, ასე მარტივად განვმარტე იგი. ისე, ფართო მნიშვნელობით სიტყვა „პოლიტიკა“ არა მარტო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დადგენის საშუალებაა, არამედ ინდივიდებს შორისაც ჰარმონიული ურთიერთობის წესების გამომუშავებაცაა.

პოლიტიკა ბერძნული წარმომავლობისაა და ნიშნავს მრავლის მცოდნეობას (პოლი — მრავალი, ტიკა — მცოდნეობა). ძველი ბერძნები იმათ თვლიდნენ პოლიტიკოსებად, რომლებიც მრავალ საგანში ღრმა ცოდნას ავლენდნენ. მართალია, პოლიტიკოსი მრავალმხრივ განვითარებული ინდივიდი უნდა იყოს, მაგრამ თვით პოლიტიკა, რასაკვირველია, არ არის მეცნიერება — იგი პოლიტიკაა და ემსახურება საყოველთაო შუღლისა და ქიშპობის ვითარებაში საკუთარი ქვეყნისთვის მზის ქვეშეთში სამუდამო არსებობის დამკვიდრების საქმეს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ვერც ერთი ქართველი „პოლიტიკოსი“ ან „პოლიტოლოგი“ ვერ გაარკვევს მემარცხენეობის და მემარჯვენეობის არსს, არადა, ყველას პირზე აკერია ეს ტერმინები; ვერც ერთი მათგანი ვერ დაასახელებს საბჭოთა კავშირში დამკვიდრებულ პოლიტიკურ ფორმაციას, თუმცა, ამ მოთხოვნას სწორ პასუხს ვერც საზღვარგარეთელი თეორეტიკოსები სცემენ. იმაზე ლაპარაკი, თუ რომელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაცია შეესატყვისება საქართველოს დღევანდელობას, რა არის სირთულეების გამომწვევი ობიექტური ფაქტორები, არის თუ არა საჭირო პრობლემების დაყოფა პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად, ან საჭიროება მოითხოვს თუ არა უახლესი წარსულის მოვლენების ღრმა ანალიზს და შედეგად მომავლის გეგმის დასახვას, ზედმეტია, ეს ისე გამოდის, დაწყებითი სკოლის მოსწავლეს ინტეგრალური აღრიცხვის ღრმა ცოდნა მოსთხოვო.

გაზეთ „ალიაში“ წერენ, რომ ივანიშვილის მიერ ნათელაშვილზე გამოთქმული მოსაზრება ამ უკანასკნელის პოპულარობას ემსახურება. მეტად მცდარი მოსაზრებაა.

ამ მხრივ მისასალმებელია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პოზიცია - ქართული ფსევდოპატრიოტების დასაგმობი საქციელის სამზეოზე გამოტანა. დადგენილია, რომ ეს პარტიები, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ ქვეყნის განვითარებაზე, სასწრაფოდ უნდა ჩამოშორდნენ პოლიტიკას, ხოლო მათი ლიდერები იდეურად საბოლოოდ გაცამტვერდნენ, რამეთუ კვლავ თავი არ წამოყონ და დემაგოგიური გამონათქვამებით გულუბრყვილო ამომრჩეველს გზაკვალი არ აუბნიონ.

ხსენებული გაზეთის მეშვეობით იდეურად განადგურდნენ ბურჯანაძის, კუკავას, ალასანიასა და ნათელაშვილის პარტიები. უფრო სწორად რომ ვთქვათ, დასახელებული პარტიების ლიდერები, ვინაიდან საქართველოში არ არსებობს თუნდაც ორკაციანი პარტია. ამასთან დაკავშირებით მსურს მკითხველს ვუამბო ერთი ანეკდოტი, რაც თავის დროზე რუსეთში იყო გავრცელებული. ლენინს ჰკითხეს: პარტიის რამდენი წევრი გყავსო? — ლენინი ცოტა დაფიქრდა და შემდეგ დაბეჯითებით უპასუხა, — სამი: ვლადიმერი, ილიჩი და ლენინი. თუ ლენინს პარტიის სამი წევრი ჰყავდა, ზემოხსენებულ ვაიპარტიებს, ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ორი წევრი ეყოლებათ.

ბურჯანაძეზე ამბობენ, რომ პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ იურისტი ნამდვილად არის, ვინაიდან მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრაო. ეს ქალბატონი იურისპრუდენციაში კიდევ უფრო მეტ უმეცრებას ამჟღავნებს, ვიდრე პოლიტიკაში. ეს რომ ასეა — საკმარისია წავიკითხოთ 2001 წლის 9 მაისს ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატია — „პარლამენტარიზმის“ ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა“, სადაც ბურჯანაძე დადანაშაულებულია პარლამენტის მიერ უკვე მიღებული კანონის არასწორად წარმოდგენაზე, რამაც ქვეყანას ათეულ მილიონობით ზარალი მიაყენა. დროულად რომ არ ემხილათ ბურჯანაძის დანაშაულებრივი ქმედება, სახელმწიფო მიიღებდა მილიარდობით ლარის ზარალს.

ბურჯანაძეს პოლიტიკაში რაღაცის თქმა მაინც შეუძლია, მაგალითად, სალაშქროდ დაწყობილ ჯარს ასე მიმართოს: შეაკალით თავი! საზოგადოება დამოძღვროს — კაი ეკონომიკა, კაი პოლიტიკა, სახელმწიფოებთან კაი ურთიერთობის დამყარება მინდა. ის პროგრამა, რაც მას აქვს, საზღვარგარეთიდან უხეიროდ გადმოქართულებული ტექსტებია, რის დანერგვაც პრაქტიკაში კიდევ უფრო დაგვიმძიმებს მდგომარეობას.

მოსაწონია ქრისტიან-დემოკრატიული და ახალი მემარჯვენე პარტიების საქციელი. მათ ფაქტობრივად თავიანთი პარტიების თვითლიკვიდაცია მოახდინეს, ლიდერები თარგამაძე და გამყრელიძე დარწმუნდნენ, რომ პოლიტიკაში არაფერი ესაქმებოდათ და ჩამოშორდნენ მას. ცნობისათვის, თავის დროზე აშშ-ში პოპულარული იყო „ახალი მემარჯვენეები“, რომელმაც ესოდენ მდიდარი ქვეყანა „დიდ დეპრესიამდე“ მიიყვანა (1927-37 წ.წ.) არასწორი გზით მიმავალი ქვეყანა კატასტროფას გადაარჩინა რუზველტის მიერ შემუშავებულმა პროგრამამ, რაც ძირითადად ეყრდნობოდა „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ პრინციპებს (სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი განშტოება).

თუ მევენახეობის ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, ბურჯანაძე არის სააკაშვილის რეჟიმის გადამაგინების (გურული კილოდან აღებული სიტყვა) შედეგად მიღებული ამონაყარი, რასაც სააკაშვილის რეჟიმის მსგავსად, ძირშივე ამოძირკვა ესაჭიროება.

ალასანიას უხარია — „კაბელების“ საკითხში ვიმარჯვებო. ასეც რომ იყოს, სასიხარულო არაფერი აქვს — ცოდნასა და გამოცდილებას, ჭკუას არავინ მისცემს. იგი მარად ისეთი იქნება, როგორიც დღეს არის... მოიწონა სააკაშვილის მიერ ჩადენილი ეროვნული დანაშაული — თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანა, ასევე მოიწონა კოდორის ხეობაში ქართული შინაგანი ჯარის შეყვანა, რაც ეროვნული დანაშაულის ტოლფასია, ასევე არ დაუგმია ცხინვალის დაბომბვა, ხოლო საზღვარგარეთელი პოლიტიკოსების შეკითხვაზე, — თუ რას იტყოდა სააკაშვილის პერსონის შესახებ, ნათლად განაცხადა: ემოციები დაცხრება და ქართველი ხალხი ერთგულად განაგრძობს სააკაშვილის დაწყებულ საქმეს (ჩვენმა მტერმა იარა მის გზაზე). ეს მაშინ თქვა, როდესაც ის „ოცნების“ ერთგულ წევრად ითვლებოდა. აი, რას ათქმევინებს ადამიანს ქარაფშუტა გონება. ალასანიას ძალიან ეწყინა, როდესაც ღარიბაშვილმა მას უტვინო უწოდა. ნუთუ პრემიერ-მინისტრს იმის უფლება არ აქვს, როდესაც ინდივიდი თავისი საქციელით ეროვნულ ინტერესებს უგულებელყოფს და ამის ჩამდენზე არავითარი შეგონება არ სჭრის, უწოდოს ის, რისი ღირსიც არის.

ზემოხსენებული ინდივიდების საქმიანობა პოლიტიკაში საქართველოს საბოლოოდ უფსკრულში გადაჩეხავს, ამიტომ საჭიროა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით მათი უკეთური საქმიანობის შესახებ მკითხველსა და მაყურებელს დაუფარავად მოვუთხროთ.

მოვლენებში ჩაუხედავი პოლიტიკოსები იმედოვნებენ, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები მრავალპარტიული იქნება და მთავრობაც ამისდა მიხედვით დაკომპლექტდება. სწორედ ამგვარად დაკომპლექტებული პარლამენტი და მთავრობა სახელმწიფოს დიდ ზიანს მიაყენებს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეგრეთ წოდებული ნაციონალები და არასაპარლამენტო პარტიები ყოველგვარი პოლიტიკური ცოდნისგან დაცლილები არიან და მაინცდამაინც არც სინდის-ნამუსი აწუხებთ.

მკითხველი, ალბათ, იტყვის: აბა, როგორ მოვიქცეთ?! — „ოცნების“ ეგიდით (ვინაიდან ჯერჯერობით ეს გაერთიანება, ასე თუ ისე, შეესატყვისება რეალობას) გაერთიანდნენ პოლიტიკის და დარგის მცოდნე ინტელექტუალები, შეადგინონ საპარლამენტო სიები და ეს სიები საჯარო განხილვის საგნად გახადონ. ერთი კაცი ამ რთულ საქმეს ვერ გაწვდება. ლოგიკური იქნება თუ ან საშურ საქმეს სათავეში ჩაუდგება ბატონი ბიძინა ივანიშვილი.

საარჩევნო კოდექსის მიღება ადვილია, მაგრამ ვინ უნდა მოხვდნენ პარლამენტში? — საკითხავი სწორედ ეს არის! ისევ და ისევ ზემოხსენებული ინდივიდები? ეს არ უნდა განმეორდეს! ქართველი ხალხის მოდუნებამ მწვანე გზა აუნთო ურაპატრიოტებს, ავანტიურისტებს, ხელმოცარულებს, უმეცრებს, რომლებმაც უძველესი კულტურის მქონე ქართველი ხალხი კაცობრიობის დასაცინი გახადა. ამიტომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატიები, რაც ფსევდოპარტიების პოლიტიკური სარბიელიდან განდევნის საქმეს ემსახურება, მოსაწონია და ამ მხრივ სხვა გაზეთებმაც მას უნდა მიბაძონ.

ონისე მწარიაშვილი

◎ ფხიზლად, ქართველებო!

კვარაცხელია აფხაზეთიდან გვიტევს!

„ძალიან მწირი ინფორმაცია გამოდის ოკუპირებული აფხაზეთიდან, შესაბამისად, ძალიან ძნელია რეალური სურათის დადგენა. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ შამილ ბასაევის ერთ-ერთი მეუღლე იყო აფხაზი ინდირა ჯენია, რომლის ნათესავები ჩართული არიან ამ ისლამურ საკითხებში. საკამოდ მწირია ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რამდენი პროცენტი ემხრობა აფხაზეთში ისლამურ სახელმწიფოს, მაგრამ იმ ფონზე, რომ იქ არიან აქტიური მუსლიმები, სავარაუდოდ, ბევრი მიემხრობა ისლამურ სახელმწიფოს. თუმცა, ჯერჯერობით არც ერთი ეთნიკური აფხაზი არ დაფიქსირებულა ისლამური სახელმწიფოს მიერ გავრცელებულ მიმართვებში“, — აცხადებს ალეკო კვახაძე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ამ თემასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება.

„თუმცა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წყაროებისგან მიღებული ინფორმაციით ფაქტები არ დასტურდება. ნებისმიერ შემთხვევაში, საეჭვოა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერებმა ინსტიტუციონალურად ფეხი მოიკიდონ“, — აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, აფხაზეთში ერთდროულად რამდენიმე ინტერესი იკვეთება, მათ შორის რუსული ინტერესი, რომელსაც საკმაოდ დიდი ბერკეტი და ზეგავლენა გააჩნია შეტანა, თუმცა, რამდენად აქვს სირიელ აფხაზებს ზეგავლენა აფხაზეთის მომლოცველებზე, ამაზე დეტალური ინფორმაცია მწირია.

„ძალიან მწირი ინფორმაცია გამოდის ოკუპირებული აფხაზეთიდან, შესაბამისად, ძალიან ძნელია რეალური სურათის დადგენა. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ შამილ ბასაევის ერთ-ერთი მეუღლე იყო აფხაზი ინდირა ჯენია, რომლის ნათესავები ჩართული არიან ამ ისლამურ საკითხებში. საკამოდ მწირია ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რამდენი პროცენტი ემხრობა აფხაზეთში ისლამურ სახელმწიფოს, მაგრამ იმ ფონზე, რომ იქ არიან აქტიური მუსლიმები, სავარაუდოდ, ბევრი მიემხრობა ისლამურ სახელმწიფოს. თუმცა, ჯერჯერობით არც ერთი ეთნიკური აფხაზი არ დაფიქსირებულა ისლამური სახელმწიფოს მიერ გავრცელებულ მიმართვებში“, — აცხადებს ალეკო კვახაძე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ამ თემასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება.

„თუმცა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წყაროებისგან მიღებული ინფორმაციით ფაქტები არ დასტურდება. ნებისმიერ შემთხვევაში, საეჭვოა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერებმა ინსტიტუციონალურად ფეხი მოიკიდონ“, — აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, აფხაზეთში ერთდროულად რამდენიმე ინტერესი იკვეთება, მათ შორის რუსული ინტერესი, რომელსაც საკმაოდ დიდი ბერკეტი და ზეგავლენა გააჩნია რეალურ პროცესზე. ასევე, არის თავად აფხაზების და აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტერესები.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტის ვახტანგ მაისაიას ინფორმაციით, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ისლამური ხალიფატის წარმომადგენლები შარშან შემოდგომაზე გამოჩნდნენ. მისივე თქმით, ისინი შემოვიდნენ როგორც ე.წ. მუჯაჰიდები, რომლებიც დაბრუნდნენ სირიიდან ლტოლვილების სახით.

„საკმაოდ რთული სიტუაციაა აფხაზეთში. ჩემი ინფორმაციით მათი წარმომადგენლობა გავრცელდა გუდაუთაში და ოჩამჩირეში. ის ადამიანები, რომლებიც ისლამური ხალიფატის მიმდევრები არიან, ღიად არ მოძრაობენ, მათი იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორაზე მოქმედები ისლამური ხალიფატის მომხრეების.

რუსეთს არანაირად არ აწყობს მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორაზე ისლამური ხალიფატის მიმდევრების გააქტიურება, ბუნებრივია, ეს მათ უქმნის დიდ პრობლემას, ვინაიდან ისლამურმა ხალიფატმა პირდაპირ გამუცხადა ომი რუსეთის ფედერაციას. ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე შექმნეს თავისი ვილაიეთი და როგორ ფიქრობთ, აფხაზეთში გაუჭირდებათ ანალოგიურის გაკეთება? — რა თქმა უნდა არა“, — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ.

ამასთან, კავკასიოლოგები და ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ისლამისტების გააქტიურება რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგაც გამოიყენოს!

თამარ ქარჩაიძე

◎ შავი ხუთშაბათი

დამარცხებული და შეურაცხყოფილი ქართველები

თბილისის „დინამო“ ევროპა ლიგას გაბალაში დაემშვიდობა. სამწუხაროდ, დიდი ისტორიის მქონე ქართულმა კლუბმა ევროსეზონი 9 ივლისს დაასრულა, რასაც აქვს გარკვეული მიზეზები, „გაბალას“ გამარჯვებაში კი ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს.

როგორც აზერბაიჯანული, ასევე ქართული გუნდი შეთამაშების პროცესშია. ამ პრობლემის წინაშე ორივე გუნდის მწვრთნელი იდგა, თუმცა აქაც იყო განსხვავება. „გაბალას“ შემადგენლობაში გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ, თბილისური კლუბი კი ახალგაზრდა მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. განსაკუთრებით შეტევის ხაზში, სადაც შედეგიანი თამაში გამარჯვების აუცილებელი პირობაა. ალბათ ამითაც აიხსნება გია გეგუჩაძის გადაწყვეტილება ალექსანდრე იაშვილის ძირითად შემადგენლობაში დაყენებასთან დაკავშირებით. ასევე აქ სხვა ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. 37 წლის ვეტერანს აზერბაიჯანში თამაშის გამოცდილება აქვს, გასულა „გაბალას“ სტადიონზეც. სავარაუდოდ, გეგუჩაძემ ეს მომენტიც გაითვალისწინა.

ზოგადად გეგუჩაძის გუნდები ასეთ ფეხბურთს არ თამაშობდნენ, თუმცა, ძალიან ძნელია პირველი მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ ევროტურნირებზე კარგად გამოსვლა. ახალ მწვრთნელს ყოველთვის სჭირდება დრო, მით უმეტეს მაშინ, როცა მეტოქეს გამოცდილებით ჩამორჩები.

პირველი თამაშიდან გამომდინარე „დინამოს“ აქცენტი სწრაფ და ტექნიკურ თამაშზე უნდა გაეკეთებინა, მაგრამ საპასუხო მატჩის პირველი ტაიმი „გაბალას“ სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. გამოყოფია გიორგი ქვილითაიას თამაში, რომელმაც ძალიან დიდი სამუშაო შეასრულა. ის ხშირად იგებდა საჰაერო ორთაბრძოლას და ბურთის მიღების შემდეგ მასპინძლებს ქართველ ფორვარდთან ართმევაზე თამაში უჭირდათ. როდესაც გიჭირს შეტევაზე გადასვლა, ამ დროს მისი ტიპის ფორვარდი მეტოქის დაცვას პრობლემებს უქმნის და მეტოქის ნახევარზე გადადიხარ.

აზერბაიჯანელი მოთამაშეებიდან გამოსარჩევია რუმინელი ფლორესკუ, რომელიც ცენტრალური მცველების წინ მოქმედებდა და შეტევაში ხშირად მონაწილეობდა. პირველ ტაიმში მისი ძლიერი დარტყმა ოდნავ აცდა ჰრდლიჩკას კარს.

ძალიან რთულია მსაჯის გადაწყვეტილებებზე საუბარი. ამ დროს უკეთესია საეჭვო ეპიზოდების განმეორებით ნახვა. თოთაძისა და მეტოქე ფეხბურთელის ორთაბრძოლისას წესებს ქართველი მცველი არღვევს. მეორე საკითხია იმსახურებდა თუ არა წითელ ბარათს. როგორც განმეორებით ეპიზოდში გამოჩნდა თოთაძე სულ ორჯერ ურტყამს მეტოქეს ფეხში, პირველად როცა ბურთზე თამაშს ცდილობს და მეორედ განზრახ. ამ შემთხვევაში შესაძლოა თოთაძეს ნერვებმა უმტყუნა ან ზედმეტი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, მაგრამ ფაქტია — მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებას საფუძველი ჰქონდა. მატჩის დაძაბულობიდან, თამაშის სურათიდან გამომდინარე, ფრანგ არბიტრს შეეძლო ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება არ მიეღო.

თოთაძის გაძევებამდე „დინამომ“ თამაში გამოასწორა. გიორგი ქვილითაიამ მეტოქის შეცდომით ისარგებლა და გოლიც გაიტანა, თუმცა მსაჯმა არ ჩათვალა, რადგან ქართველ ფეხბურთელს ბურთი ხელზე მოხვდა. სხვა მომენტებში „დინამო“ უფრო ხშირად აკონტროლებდა ბურთს და თითქოს თამაში გათანაბრდა კიდეც, მაგრამ 10 კაცით დარჩენილმა გუნდმა მატჩის წარმატებით დასრულება ვერ შეძლო.

მეორე ტაიმში „გაბალამ“ შექმნა რეალური საგოლე მომენტები, ერთერთ მათგანს კი გოლი მოჰყვა. თავური დარტყმით ზენჟოვმა გაიტანა. გია გეგუჩაძე ზენჟოვის გუნდს მეორედ დაუპირისპირდა და ამჯერადაც დამარცხდა. პირველ შემთხვევაში ესტონელი ფორვარდი ლვოვის „კარპატში“ თამაშობდა და ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გია გეგუჩაძის „ზესტაფონი“ გამოთიშა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ 26 წლის თავდამსხმელს „ზესტაფონისთვის“ არ გაუტანია, „დინამოს“ კი გაუტანა.

მარცხის მიუხედავად „დინამო“ ბრძოლისუნარიანად თამაშობდა. 10 კაცით დარჩენილი ქართველი ფეხბურთელები მეტოქის ნახევარზე გადავიდნენ და სახიფათო შეტევაც განავითარეს. მარჯვენა ფლანგზე კიტეიშვილმა იაქტიურა, საჯარიმოში ჭანტურიშვილის მისამართით გააკეთა პასი, თუმცა ადრესატის დარტყმას სიზუსტე დააკლდა.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბრაზილიელმა რენე ფერეირამ, რომელიც გარკვეულ ეპიზოდებში ცდებოდა, თუმცა, ძალიან ხშირად დაცვაში საიმედოდ მოქმედებდა. ფიზიკურად ძლიერი და ტექნიკური ფეხბურთელი დაცვის ხაზს ალაგებდა და მეტოქის შეტევებს შლიდა. გამომდინარე იქიდან, რომ მოსამზადებელი ეტაპის დიდი ნაწილი არ გაუვლია, მისი თამაში დადებითად უნდა შეფასდეს.

სამწუხაროდ, გეგუჩაძის გუნდის თამაშში ვერ დავინახეთ ის, რამაც საშინაო მატჩში დაგვაიმედა. კერძოდ, ტექნიკური შესაძლებლობების ხარჯზე თამაშის ინიციატივის მოპოვება, ბურთის კონტროლი, თუმცა, გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია და ორი ოფიციალური მატჩის მიხედვით მწვრთნელის დარჩენა-არდარჩენაზე საუბარი მართებული არ უნდა იყოს.

თამაშის გარდა

თამაშის მიმდინარეობისას ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ბანერები გამოფინეს, რასაც საქართველოს დროშის დაწვა მოჰყვა.

პირველ გამოფენილ ბანერზე გამოსახული იყო აზერბაიჯანის რუკა, რომლის მიხედვითაც ზაქათალა, კახი და მარნეული საქართველოს ტერიტორიას წარმოადგენდნენ. პირველ შემთხვევაში სამართალდამცავებმა დროულად იმოქმედეს, თუმცა, რამდენიმე წუთში ერთდროულად რამდენიმე ახალი ბანერი გაჩნდა, რომლებზეც გამოსახული იყო საქართველოს ტერიტორიაში შემავალი ქალაქების დმანისის, რუსთავისა და გარდაბნის აზერბაიჯანული დასახელებები. ასევე იყო ბანერი, რომელიც მიხედვითაც ბორჩალო აზერბაიჯანის ისტორიულ მხარეს წარმოადგენდა.

პირველი გოლის შემდეგ გახარებულმა აზერბაიჯანელმა მზარეულმა ქართველ ჟურნალისტებს თავზე წყალი გადაასხა. ისედაც დამწუხრებულებმა, მასპინძელთაგან ამგვარი ცინიკური საქციელი მიიღეს, რასაც მოჰყვა სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუმცა, ფიზიკურ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა.

მატჩის შემდეგ თბილისის „დინამოს“ ოფიციალური ფან-კლუბის „გლადიატორების“ ავტობუსს „გაბალას“ გულშემატკივრებმა ქვები დაუშინეს და დააზიანეს.

შეხვედრის მიმდინარეობისას, განსაკუთრებით კი პირველი გოლის შემდეგ აზერბაიჯანელთაგან იგრძნობოდა ცინიკური დამოკიდებულება.

შეგახსენებთ, თბილისური მატჩის დროს „დინამო არენას“ ტრიბუნებზე მასპინძელთა გუნდის ქომაგებმა გამოფინეს ბანერი, რომელზეც ზაქათალა და კახი საქართველოს ტერიტორიას წარმოადგენენ, თუმცა სამართალდამცავთა და მატჩის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით ბანერი მალევე ჩამოხსნეს, საპასუხო მატჩის დროს კი მასპინძელთა მხრიდან გამოფენილი ბანერების შემდეგ ანალოგიურად არ უმოქმედია აზერბაიჯანულ მხარეს, რაც უეფას წესებს ეწინააღმდეგება და სანქციებს აუცილებლად საჭიროებს.

„ცხინვალი“ — „ბოტოშანი“ 1:3 (1:1), „ომონია“ — „ბათუმი“ 2:0 (1:0). მსაჯებმა ამ მატჩებშიც გაგვიძევეს მოთამაშეები.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

ფაჩულია „დალასში“ გადავიდა



საძართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი, 31 წლის ზაზა ფაჩულია კარიერას „დალას მავერიქსში“ გააგრძელებს. აღნიშნულ ინფორმაციას ტეხასური კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ადასტურებს. წყაროს ცნობით, „დალასმა“ ფაჩულია მიიღო, ხოლო სანაცვლოდ „მილუოკს“ ტეხასურმა გუნდმა მომავალი წლის დრაფტის მეორე პიკი დაუთმო. ფაჩულიას კონტრაქტის სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

„დალასის“ ცენტრის პოზიცია მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც კლუბი ტაისონ ჩანდლერმა დატოვა, რომელიც „ფინიქსში“ გადავიდა. ტეხასელები 2 კვირის განმავლობაში აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ „კლიპერსის“ ცენტრის დეანდრე ჯორდანის გადასაბირებლად, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა. როგორც ჩანს, დალასელთა მომდევნო სამიზნეს ზაზა ფაჩულია წარმოადგენდა.

ფაქტია, ფაჩულიას ამერიკულ კარიერაში „დალასი“ ყველაზე ძლიერი გუნდია.

განვლილ სეზონში ზაზამ 73 მატჩი ჩაატარა, სადაც საშუალოდ ერთ მატჩში 8.3 ქულას, 6.8 მოხსნას და 2.4 პასს აკეთებდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ეს არწივი ძალიან მაღლა აფრინდა

არანტა სანჩესისა და კონჩიტა მარტინესის შემდეგ გარბინ მუგურუზა პირველი ესპანელი მანდილოსანია, რომელიც დიდი მუზარადის, ზოგადად და, უიმბლდონის, კონკრეტულად ფინალში ითამაშებს. მის ასეთ შთამბეჭდავ დებიუტს ელიტურ საზოგადოებაში ძნელად თუ ივარაუდებდა ვინმე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — პირენეელი ტრიუმფის ზღურბლთან იმყოფება.

ნახევარფინალში მან სამ პარტიაში სძლია პოლონელ აგნეშკა რადვანსკას და დღეს სატიტულო ბრძოლაში მსოფლიოს პირველ ჩოგანს სერენა უილიამსს შეებმება, რომელმაც ტრადიციული და პრინციპული მეტოქე მარია შარაპოვა დააჩოქა — 6:2, 6:4.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

ხელიხელსაგოგმანები ზაირა ნარა

დიდი ფშაველი მოლექსე ფრუშკა წვეროშვილი ცოცხალი რომ იყოს და ცნობილი ესპანელი მოდელის ზაირა ნარას ამბები რომ იცოდეს, აუცილებლად მიულექსავდა: „ქალო ნუ იხდი ამდენსა, ნიავ დაგარტყამს ტანზედა, მერე მე ვერას გიშველი, დავდგები შორს და განზედა“.

ზაირა ნარა კი ჯიუტად ისეთ ფოტოსესიებში მონაწილეობს, მისი ყოფილი სატრფო, აწ უკვე დავიწყების ნისლით მოსილი ურუგვაელი ფეხბურთელი დიეგო ფორლანი, ალბათ, საკუთარ თავს წყევლა-კრულვას უგზავნის, ასეთ ხელიხელსაგოგმანებ ქალს როგორ დავშორდიო.

ზაირა ნარას უკანასკნელი ფოტოსესია ესპანეთის მრავლისდამტევ კუნძულ იბიცაზე გაიმართა და როგორც ჭორთმოყვარულნი იუწყებიან, ამ ფოტოების გადამღებ ფოტოგრაფებს მუშაობის პროცესში ისეთი ხვითქი გადასდიოდათ, ვაზის შემწამვლელ მევენახესაც კი გრილ სამოთხედ რომ მოეჩვენებოდა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სულიერება

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის „სამხელიანი“ დღესასწაული

11 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის ხატის „სამხელიანი“ ხსენების დღეს.

717 წელს წმინდა იოანე დამასკელს დამასკოს მთავრის წინაშე ცილი დასწამა ხატმებრძოლმა იმპერატორმა ლეონ ისავარიანმა. მთავარმა საქმის გამოუძიებლად ხელი მოჰკვეთა წმინდანს და ყველას დასაშინებლად მოედანზე დაჰკიდა. როცა მთავრის მრისხანება დაცხრა, წმინდა იოანემ თავისი ხელი გამოითხოვა მისგან და სენაკში ჩაიკეტა. დიდხანს ლოცულობდა ღმრთისმშობლის ხატის წინაშე, ბოლოს ჩაეძინა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი სიზმარეულ ხილვაში გამოეცხადა და აუწყა, რომ ხელი განეკურნა. წმინდა იოანეს ბრძანებით ვერცხლისგან ჩამოასხეს ხელის მტევანი, რომელიც წმინდანმა ხატს შესწირა, სწორედ აქედან მოდის სახელწოდება სამხელა ღვთისმშობლის ხატისა, რომელიც შემდგომში მრავალ სასწაულს აღასრულებდა.

12 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო წმინდა ეკლესია პეტრეპავლობას დღესასწაულობს

სულთმოფენობის დღესასწაულზე მოციქულთა თავის — პეტრეს მიერ წარმოთქმულმა მადლმოსილმა სიტყვამ 3 000 კაცი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. პეტრემ ქრისტეს სწავლების მარცვლები დათესა ყველგან — რომში, ანტიოქიაში, მცირე აზიაში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, ესპანეთში, ბრიტანეთში.

მოციქულ პეტრეს ქადაგებებს მრავალი სასწაული ახლდა თან: სნეულები პეტრეს ჩრდილის დაცემითაც კი იკურნებოდნენ.

წმინდა მოციქულთა თავი — პეტრე მოწამეობრივად აღესრულა რომის სისხლიანი იმპერატორის ნერონის ზეობისას.

რაც შეეხება მოციქულთა თავს — პავლეს, მან ბევრი მოაქცია ქრისტიანად თავისი ქადაგებითა და სასწაულებით. პავლე მოციქული რომაელთა იმპერატორმა დააპატიმრა და სხვა პატიმრებთან ერთად იტალიაში გააგზავნა. იქ პავლე მოციქულს კეისრის წინაშე უნდა ემართლებინა თავი. კუნძულ კრეტას დიდი წვალებით მიაღწია ხომალდმა. პავლემ იწინასწარმეტყველა, რომ ცურვით გზის გაგრძელება მათთვის სახიფათო იყო. პავლეს თავი მოჰკვეთეს.

ეკლესიამ პეტრეს და პავლეს ხსენება ერთ დღეს დააწესა, რადგან ისინი იყვნენ უფლის სათნომყოფელნი და ძალიან გამოირჩეოდნენ ქრისტეს სხვა მოწაფეთაგან...

პეტრეპავლობის შემდგომ დღეს ქართველობა ყოვლადქებულთა 12 მოციქულთა კრებას და სვეტიცხოვლობას დღესასწაულობს.

გიული ლიპარტია

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 568 82-09-84.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჰასან ქაბადაის და შპს „დომუს დეველოპმენტის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ჰასან ქაბადაი (პ/ნ 16127118108), თურქეთის რესპუბლიკა, სტამბოლი, ქადითჰანე, მეჰმედ აქიფ ერსოის უბანი, იფრაქის ქ. №16/1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ცაბაძის ქ. №8-ბ, ფართი №344, 408.30კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.13.07.020.052.01.344).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ჰასან ქაბადაი (პ/ნ 16127118108), თურქეთის რესპუბლიკა, სტამბოლი, ქადითჰანე, მეჰმედ აქიფ ერსოის უბანი, იაფრაქის ქ. №16/1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, თარხნიშვილის ქ. №17/აკაკი ხორავას ქ. №4, ავტოსადგომი 21.34კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.15.02.021.005.01.511).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

3. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ჰასან ქაბადაი (პ/ნ 16127118108), თურქეთის რესპუბლიკა, სტამბოლი, ქადითჰანე, მეჰმედ აქიფ ერსოის უბანი, იაფრაქის ქ. №16/1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, თარხნიშვილის ქ. №17/აკაკი ხორავას ქ. №4, სართული 5, საერთო ფართი 185.70კვ.მ., საზაფხულო ფართი 20.80კვ.მ., ჰოლი 7.31კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.15.02.021.005.01.510).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

4. უძრავი ნივთის მესაკუთრე: შპს „დომუს დეველოპმენტ“ (ს/ნ 205210261), თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33ა;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2 (ნაკვეთი №3/47), D ბლოკი, სართული 6, ბინა №69 (საკადასტრო კოდი: 01.14.08.003.047.01.069).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

5. უძრავი ნივთების საწყისი ფასი: 1932919,30 ლარი, მათ შორის, დღგ-ით დასაბეგრი შპს „დომუს დეველოპმენტის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ღირებულება, ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებით შეადგენს 157500 ლარს დღგ-ის ჩათვლით (დღგ არის 24025,05 ლარი);

6. უძრავი ნივთების რეალიზაციის წესი: უძრავი ნივთების რეალიზაცია ხდება ერთ ლოტად;

7. აუქციონის დაწყების დრო: 2015 წლის 7 აგვისტო, 11:00 საათი;

8. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

9. მოვალეები:
შპს „მგგს საქართველო“ (ს/კ 205099212), თბილისი, ჩაჩავას ქ. №8;
ივანე მესხი (პ/ნ 01009007738), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
რევაზ მესხი (პ/ნ 01008047730), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
შპს „მულტი სალარო“ (ს/კ 205167004), თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ., №25, ბინა 57.

10. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

11. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 7 აგვისტოს, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

სანთელი

ციალა ქოიავა-კიზირიას გარდაცვალების გამო

აბაშის მუნიციპალიტეტის ამაგდარ მედიკოსთა რიგებს გამოაკლდა საპატიო აბაშელი, გამოცდილი ექიმი-პედიატრი **ციალა ქოიავა,** ვისი ამ სფეროში მოღვაწეობაც 1963 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქ. ფოთის ბავშვთა საავადმყოფოში დაიწყო და 1965 წლიდან კი 2000-იანი წლების შუახანებამდე მშობლიურ აბაშაში გაგრძელდა. ოთხ ათეულ წელზე მეტხანს ემსახურა ციალა-ექიმი, როგორც მას სიყვარულით ეძახდნენ ხოლმე კოლეგა-თანამშრომლები თუ პაციენტთა მშობლები და ახლობლები, ნორჩი აბაშელების ჯანმრთელობის დაცვას და ამ ხნის განმავლობაში საყოველთაო ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. ამ საქმესთან უშუალოდ დაკავშირებული თავისი თაობის რამდენიმე სხვა პედიატრ ქალბატონთან ერთად, რომელნიც დღეს, სამწუხაროდ, გარდაცვლილნი არიან, მათი უმცროსი კოლეგები პროფესიული დაოსტატების ნამდვილ სკოლას გადიოდნენ. კიდევ უფრო ფასეული კი იყო ის უანგარო და თავდადებული დამოკიდებულება პატარების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ, რასაც საოცარი მაგალითის ძალა ჰქონდა ირგვლივ მყოფთათვის, პირველ რიგში კი—დამწყები ექიმებისა და ექთანთათვის. ,,იქ, სადაც ბავშვის სიცოცხლის გადარჩენასა და განკურნებაზეა ლაპარაკი, ციალა-ექიმი მთასაც გადადგამს, გაუჩენარს გააჩენს და ბოლომდე იბრძოლებსო“, — ეს არ იყო გადამეტებული შეფასება, ეს ექიმ ციალა ქოიავას პირუთვნელი შეფასება გახლდათ.

უკანასკნელ წლებში თავად შეერყა ჯანმრთელობა, რამაც საყვარელ საქმეს ჩამოაშორა. საწოლს მიჯაჭვულს, მას მაინც ხშირად მიმართავდნენ რჩევა-კონსულტაციების მისაღებად.

არ არის გასაკვირი, რომ თბილისიდან აბაშაში ჩამოყვანის შემდეგ მომნახულებელ-მომკითხავნი არ აკლდებოდა. ციალა-ექიმი არავის აბეზრებდა თავს გადამეტებული ჩივილით. როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, იგი სიხარულით ეზიარა და მცირეხანში მიიცვალა კიდეც. მეუღლესთან—აბაშელთათვის ცნობილ და საყვარელ ადამიანთან—ქირურგ იმედი კიზირიასთან ერთად, ამიერიდან ცათა სასუფეველში განსვენება უნდა ვუსურვოთ ჩვენს ძვირფას ქალბატონ ციალას.

ერთადერთმა სათაყვანო შვილმა და რძალმა, ერთადერთმა სათაყვანო შვილიშვილმა მხოლოდ? — არა, ეს სათნო ქალბატონი, გულისხმიერებითა დაპროფესიონალიზმით გამორჩეული ციალა-ექიმი დავკარგეთ ყველამ: აბაშის სამედიცინო საზოგადოებამ და, ზოგადად, აბაშის საზოგადოებამ, ადამიანებმა, რომელთა წინაშე ვალმოხდილმა და ნაამაგარმა დატოვა ეს წუთისოფელი.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო

◎ რჩევა

15 რამ, რისი გაკეთებაც სხვა ქვეყანაში არ შეიძლება!

თუ გინდათ, მოგზაურობისას ადგილობრივი მოსახლეობა მეგობრულად მოგექცეთ, ეს სია შეინახეთ და საჭიროებისას გაითვალისწინეთ:

საფრანგეთი
არ ისაუბრო ფულზე.
ინდოეთი
საზოგადოებაში მოფერება და კოცნა დაუშვებელია.
იაპონია
მიმტანებს გადაუხადეთ ზუსტად.
მექსიკა
არ გეწყინოთ ადგილობრივების ხუმრობა.
თურქეთი
არ გამოიყენოთ წლ-ის აღმნიშვნელი ნიშანი, – აქ ეს უცენზურო ჟესტია.
ნორვეგია
არ იკითხოთ, დადიან თუ არა ნორვეგიელები ეკლესიაში.
დიდი ბრიტანეთი
ინგლისელს არ ჰკითხოთ, რამდენი აქვს ხელფასი.
ირლანდია
არ ეცადოთ, ირლანდიული აქცენტით საუბარს.
კენია
მოსაუბრეს პირველმა არ მიმართოთ სახელით.
გერმანია
დაბადების დღე დროზე ადრე არ მიულოცოთ.
ჩილე
ხელით არ ჭამოთ.
სინგაპური
არ ჭამოთ საზოგადოებრივ ტრანსპორტში.
მომსახურების სფეროს წარმომადგენლებს ყოველთვის ცოტა ზედმეტი გადაუხადეთ.
ჩინეთი
არ აჩუქოთ საათი ან ქოლგა.
ახალი ზელანდია
არ დაასიგნალოთ, აქ ეს შეურაცხყოფად აღიქმება.

შეკრიბა
თამაზ ჩიქვანაია

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

სკანვორდი



... პატიმრობის საკანი		ნაჩუქარ ცხენს კბილი ... ესინჯებაო	დაავადება სულის ხუთვის თანხლებით		„... ქაცად შერჩე ბოლომდე, თურმე, ესეც გმირობაა დიდი!“			ქვიანი ნაპირი მდინარისა
სოფელი გორის რაიონში								დგომა თავზე და ხელებზე დაყრდნობით
ქალბატონი ფეხსაცმელი			ძნელი ქართველი პოეტი			კრეზიდენტის სასაჯლე ჩილეში „მოწვდა“		
... დაუგრუნდა მთიელი		„...ალვარის ერთი დალმართიც ეძნელაო“						
				მეკარე ... კასილასი			... მარძსი	
				ზეთისხილის ნივთიერების მუხტი			იალქანი	
		მასობრივი მსვლელობა	საერთოსახალხო ენის განშტოება		... განგება მიუწვდომელია	გაწნეოლოგიური ქირურგიული სამეგრელოში		შაქრის ლერწმის ჭრა
„შეძახილია ... გაახმოო“	„... სხვის ომში ბრძანიაო“							აღმოსავლური სიმღერიანი საკრავი
გივი გერიკაშვილის სცენური როლი	საზაფხულო საქოვარი მთაში				სოფელი გორჯომის რაიონში			
	ტოტი				რუმინეთის ექსკურსიზიდენტი ... ილიესკუ		ზვიადი: „ბარს დროზე უნდა მივმოკრა, დაგვინახეს ხმა აღარ ექნება ...“			რიმეზე მიგვითითებს ეს სიტყვა
							ფრანგი მწერალი ჟორჟ ...			დიდი საგულალტრო ნიგნი
			ფეხბურთის მეფე		მძიმედ შეიარაღებული ჯარისკაცი ელადაში		გალაზოვანი პარკოსანი მცენარე			
	სიმღერიანი საკრავი				ჭიით დაუზიანებელი ნაყოფი							